



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

FEVRIER

1937—N° 132

თებერვალი

1937 წ.

№ 132

# დასავლეთკავკასიელი საზოგადოებრივი პარტიების ორგანო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ნ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ანტიკომინტერნი და საბჭოთა ერები.  
ილია ნუგუზიძე—გლოვის დღე.  
ყ—ბერლინი და მოსკოვი.  
ნ. ჟორდანიას—«ვეფხისტყაოსანი»-ს საკითხები.  
რ. ინგილაძე—იტალია-თურქეთის დაახლოვება.

—ა.—ნინოოზა ბერლინში.  
ი.—ბიბლიოგრაფია.  
ნაური—წერილი ამერიკიდან.  
გ. ხუნდაძე—წერილი ხარბინიდან.  
წერილი რედაქციის მიმართ.

## ანტიკომინტერნი და საბჭოთა მკვები

სიტყვა «ანტიკომინტერნი» დიდი ხანი არაა, რაც პოპულარული გახდა, თუმცა კომინტერნი, კარგი 18 წელიწადია, რაც თავის რევოლუციურ მისიას ასრულებს. უნდა ითქვას, მისი საგმირო ხანა უკვე წავიდა და კომინტერნი დღეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას, ვის ან რას ემსახურება ის. როცა სტალინმა შარშან ზაფხულს ზინოვიევი, კომინტერნის «დიდი თავმჯდომარე» საიქიოს გაისტუმრა, ამით ნათლად გვაჩვენა, რომ ეს რევოლუციური საერთაშორისო ორგანო სხვა არაფერს ემსახურებოდა, გარდა მოსკოვის წითელი იმპერიალისმისა. თუ ამ ათი წლის წინედ რსტენ ჩემბერლენმა იმისთვის გასწყვიტა მოსკოვთან დიპლომატიური კავშირი, რომ მან კომინტერნის უკან საბჭოთა მთავრობა დაინახა—გაიხსენებთ ზინოვიევის სადირექტივო წერილის როლი ამ საქმეში—, დღეს ხომ ბრმაკი დაინახავს, რომ კომინტერნი, დიმიტროვის მეთაურობით, და კომინდელი, ლიტვინოვის მეთაურობით, ორი განუყოფელი ნაწილია ერთი და იმავე ვერაუ დიპლომატიისა, რომელშიც, ისე როგორც სხვა დარგებში, პირველი სიტყვა «ბელადს» ეკუთვნის.

და განა ამიტომ საანდახო არაა ის ფაქტი, რომ, როცა პირატას მთავრობას შეეკითხნენ ტოკიოს პალატაში გერმანიასთან დადებულ ანტიკომინტერნის პაქტზე, მან მიუგო: დიახ, ჩვენ ვუცხადებთ ომს კომინტერნს, მაგრამ საბჭოთა მთავრობასთან მეგობ

ბრული დამოკიდებულების დამყარება გვსურსო! მხოლოდ ცოტა გვიან გავიგეთ, რად დასჭირდა ტოკიოს ეს ხერხი: მოსკოვის ელჩმა იურენევმა პროტესტი განაცხადა პაქტის წინამდებ და ამის პასუხად ის უთხრეს, რომ აქ საპროტესტო არაფერია, რადგან თქვენ თვითონ ბრძანებთ, კომინტერნი სხვაა და მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება!

ამრიგად, კრემლის ჯიელები თავისივე ანკესს წამოეცვენ, თვითონვე აღიარეს, რომ კომინტერნი და სოვანარკომი ერთი და იგივეა და, როცა პირველის წინამდებ ილაშქრებენ, მეორეს იღებენ მიზანში. თორემ ბლშევიკური ბაცილის არც ისე ეშინიათ დღეს ტოკიოში, განსაკუთრებით ბერლინსა ან რომში, როგორც ოდესმე. მაშასადამე, სამივე ქვეყნის გალაშქრება და შეთანხმებული მოქმედება მიმართულია საზოგადოდ საბჭოთა მთავრობის წინამდებ.

განა ამისათვის არ წამოიწყეს მოსკოვში ახალი პროცესები? რას აბრალებენ მათ? «სამშობლოს» ღალატს, მტრისთვის თავდაცვის საიდუმლოებათა გაცემას, მავნებლობას, საბოტაჟს. ბრალდებულებმა არ დამალეს, რომ ისინი კაპიტალიზმის აღსადგენად საგარეო ომსა და საბჭოთა დამარცხებას საპროოდ სთვლიდნ. ტროცკიზმი და დეფეტრიზმი სინონიმად იქცა და მთელს კავშირში ათასობით იჭერენ კომუნისტებს—«პორაყენცებს».

ჯერი საქართველოზეც მიდგა. ტფილისშიც უნდათ «სამაგალითო» პროცესი მოაწყონ და გაასამართლონ ქართველი კომუნისტები. მათ ჯერ თავის საბჭოებლოს უღალატეს, ესლა კი მოსკოვისაკ დალატობენ თურმე; თუ პირველი დალატისთვის საქართველოს სოვნარკომში დასვეს, მეორის დალატისთვის გეპეუს-სარდაფში ჩასვეს და სცაა, იქით გაისტუმრებენ; სადაც თვითონ ათასობით საკუთარი ძმები გაისტუმრეს...

მაგრამ ამ საქმეთა მთავარი გმირი, სერგო ორჯონიკიძე, სტალინის ყოფილი მოადგილე კავკასიაში და მისი დამპყრობი რუსის ხიშტებით, ვერ მოესწრო ტფილისის «სეირს» და სული განუტევა თვით კრემლის დარბაზში. ბევრი მითქმა მოთქმაა, ჩურჩულიც, როგორ მოხდა ეს მოულოდნელი ამბავი, ვინ მოსურა სტალინს მისი «მარჯვენა ხელი», ზეციურმა თუ მიწიერმა ძალამ, მაგრამ ერთი მაინც ცხადია, სიკვდილის ცელი დიქტატორსაც ანათებს ზევიდან და ეს კი არც ისე მოულოდნელი იქნება, ისეთი სისხლის ზღვაა მის ირგვლივ დაგუბებული.

როგორც ხედავთ, ჯერ მტრის ლაშქარი არც კი დაძრულა გარედან და მოსკოვში კი შიშით გარეტიანებულნი ერთმანეთს დარევიან ბოლშევიზმის ყოფილი თუ დღევანდელი გმირები ქვეყნის დალატისთვის. გამოდის, მათ უკვე გაუყიდათ «სამშობლო», სანამ მტერი იქ ფეხს შედგამდეს!

რა მიზანი აქვთ მტრებს დასახული?—აი კითხვა, რომელიც თავის თავად ისმის, და პასუხიც თითქო თავის თავად ნათელია—კომინტერნის დაშლა. მოსპობა. მაგრამ ამისათვის თითქო სამხედრო თავდასხმაც ზედმეტია, ვინაიდან სტალინმა თვითონ ჩამოაქვეითა ეს ორგანიზაცია გეპეუს უბრალო ბიურომდე და ახალი კონსტიტუციის ძალით კომპარტიის პირველი მდივანი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად უნდა იქცეს, სტაროსტა კალინინის ნაცვლად.

ცხადია, მაშასადამე, რომ ანტიკომინტერნის ხელმძღვანელთ თვით საბჭოთა რეჟიმის დამხობა სურთ, რომლის სათავეში სტალინი სდგას. მაგრამ როგორ შეიძლება რეჟიმის დამხობა, თუ ქვეყანას ხელი არ ახლეთ, სადაც ის სუფევს? ამბობენ, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის მტერზე, მას აზრად არა აქვს საბჭოთა კავშირის მთლიანობის შერყევა, უნდა მხოლოდ მისი რეჟიმის შეცვლა თავისთვის მისაღებ რეჟიმზე და შემდეგ ახალ მთავრობასთან მჭიდრო კავშირსაც კი შეკრავსო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, სტალინის ზიგ-ზაგების ამბავი რომ ვიცით, ის არც ამაში გამოიჩენს ჭირვეულებას და მტერს უომრდაც დაუმეგობრ-

დება, ოღონდ თვითონ ახალი რეჟიმის სათავეში დარჩეს. და განა მთელი მისი მოქმედება უკანასკნელად აქეთკენ არაა მიმართული? თავის პიროვნულ დიქტატურას ესლა არამც თუ არ მალავს ის, პირიქით, მთელს 170 მილიონიან ხალხს ალოცებს, გუნდრუკს აკმევენებს თავის წინაშე, ისაა აღიარებული ისეთ ბუმბერაზად, რომლის ტოლი კაცობრიობას არ მოსწრებია და არც მომავალში მოესწრება! თუ სახელმწიფო კაპიტალიზმი კიდევ დასავლეთის დიქტატორებზე აღრე შემოიღო მან, ესლა ლენინის ნეპსაც არ ერიდება! გაიხსენეთ გლენთა წვრილ მეურნეობის აღდგენა კოლხოზის გვერდით, ხელოსანებისა და წვრილი ვაჭრობის აშვება, ბოლოს თვით კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის დაკანონება... რა განსხვავება დარჩა, ამის შემდეგ, მასა და დასავლეთის დიქტატურას შორის?

არაფერი, გარდა რევოლუციურ ფრაზეოლოგიისა და, სანამ ანტიკომინტერნი მიიღებდეს რამე ზომას, სტალინი თვითონა სპობს ფიზიკურად მის მეთაურებს, ასამარებს ბოლშევიზმს პოლიტიკურად, ისე როგორც ეკონომიურად უკვე დაასამარა, გარდა თავის თავისა, რა თქმა უნდა, და, ვინაიდან ის არ აპირებს ხელისუფლებას მოეშვას, პირიქით, მთელის ძალღონით ებლაუქება მას, ის მზადაა ყოველ კომპრომისზე. ეს მით უფრო, რომ ისპანიის ავანტიურიდან არაფერი გამოვიდა, არც ხალხოსნურ ფრონტიდან საფრანგეთში, რევოლუცია არსანიდან სჩანს, ერთი სიტყვით, ამ ხერხმა არ გასურა, მაშასადამე, სტალინი ადვილად მიუბრუნებს ზურგს საბჭოთა დღევანდელ მოკავშირეთ. მას ხომ აინტერესებს ბელადის როლი და არა თვით ქვეყანა, უკანასკნელის მონობაში ყოლა და არა თავისუფლება.

მაგრამ საქევა, რომ გარეშე მტერმა სტალინთან მორიგება მოისურვოს, მით უფრო ნაკლებ მეგობრობა. ამდენჯერ პირის გამტეხი, თავის სამშობლოს გამცემი, მოღალატე ლენინის «ძველი გარდიისა», უკანასკნელის მესაფლავე, ისე როგორ თვით ბოლშევიზმისა,—აბა როგორ უნდა დაიმსახუროს მან დასავლეთის თუ აღმოსავლეთის მტრების ნდობა!

აქ ხომ პიროვნებაზე არაა ლაპარაკი, არამედ იმ განუსაზღვრელ შეიარაღებაზე, რომლისათვის მოსკოვი არ ზოგავს არც ხალხსა, არც მის ავლა-დიდებას. ამბობენ, მოსკოვი მშვიდობიანობის მომხრეაო. რატომ არ იქნება, თუ ხმელეთის მეექვსედი მას უჭირავს და მასზედ მოსახლე ერები მის უღელში გმინავენ? რომელი იმპერიალიზმი შეედრება ამას?



საბჭოთა კავშირის მთლიანობა, მათადაც, ძველი რუსეთის იმპერიალიზმის აღდგენას ნიშნავს. ამას არასწორად არ შეუტივდებიან არარუსის ერები, ისინი იბრძვიან და იბრძობებიან მოსკოვიტების უღლის გადასაცემად. გაეწევა თუ არა ანგარიში არარუს ერთა ამ მისწრაფებას? თუ არ გაეწია, ეს ერთი თავის შესაფერ დასკვნასაც გააკეთებენ, ცხადია.

მაგრამ რამდენი მაგალითი იცის ისტორიამ, როცა მტრის მიზანი ერთი ყოფილა, ხოლო მიღწევა — მეორე. განა ვიღვემ მეორე ფიქრობდა ძველი რუსეთის მთლიანობის დაშლას დანაწილებას? არა, ცხადია, მაგრამ შედეგი სულ წინამდებელი გამოვიდა: არარუს ერთა ერთმა ნაწილმა ისარგებლა რუსეთის დამარცხება და დამოუკიდებელი დარჩა. ერთა მეორე ნაწილიც, რომელსაც მოსკოვმა ისევ ჩაავლო თავისი კლანჭები, უკვე განთავისუფლებულ ერთა გზას გაყვება და მიყვება კიდევ.

არ შეიძლება, შეუწყნარებელიცაა იმის არ დანახვა, რაც თავის თავად ნათელია, აშკარა რუსეთი, გადაჭიმული ხმელეთის მეექვსედზე. უკვე წარსულს ეკუთვნის. ამას მიხვდენ ჯერ თვითო ბოლშევიკები, როცა ის მის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოათავსეს, ხოლო მთელს თავის საბრძანებელს საბჭოთა კავშირი უწოდეს. სტალინის უკანასკნელი კონსტიტუციით, ამ კავშირის წევრთ, თერთმეტ ეროვნულ რესპუბლიკას თავისი სახელმწიფოებრივი უფლება, თვით გათიშვის უფლებაც შენახული აქვთ... და ეს მხოლოდ ქალაქებზე, მართალია, მაგრამ ჩვენ აქ აღვნიშნავთ მარტო იმ უტყუარ ფაქტს, რომ თვით მტარვალნიც იძულებული არიან, ანგარიში გაუწიონ მათ მიერ დაჩაგრულ ერებს და ერთგვარი თამასუქი გასცენ, მათი უფლების აღმსარებელი, ხოლო ეს ერები ეცდებიან მის განადგებას, ნებით თუ ძალით.

ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტებსა და გარემოებათ არ გაეწევა გარედან ანგარიში? არა, ეროვნებათა ბრძოლა უკვე იქცა საბჭოთა მთლიანობის მთავარ დამარღვევ ძალად, კომინტერნის თუ ბოლშევიზმის ძირიან ფესვიანად ამომგდებ ღერძად, — აქედან ყოველი დიდი კრიზისი, საგარეო თუ საშინაო, ბუნებრივის აუცილებლობით საბჭოთა კავშირის დასამარცხებლად და მასში მოქცეულ ერთა უზენაესობის აღდგენით გათავდება.

### გ ლ ო ვ ი ს ლ ე ბ

თებერვლი გლოვის თვეა ქართველი ერისათვის. თერთმეტ თებერვალს შემოგვესიენ ჩრდილოეთის ურდოები. მტერმა სიმრავლით გვძლია, დავიპყრო, მაგრამ ვერ დავიპყრო ჩილა. დღიდან მტრის შემოსევისა, ქართველ ერს ხმალი ხელიდან არ გაუგდია. იბრძვის დაკარგულ თავისუფლების აღსადგენად, სამართლიანობის დასაცავად. მძიმე პირობებში უხდება მას ბრძოლა. მტერი სასტიკია, დაუნდობელი. მაგრამ უდრეკია ერის ნებისყოფა, უშრეტეი ენერჯია და სურვილი მისი — იყო თავისუფალი. დღია გაღებული მსხვერპლი. მით უფრო ძვირფასი და სანეტაროა მომავალი თავისუფლება. ქართველი ერის ცხოვრების გზა მუდამ ეკლით იყო მოფენილი. ბევრი სიმწარე უნახავს წარსულში. მაგრამ დღევანდელი უბედურება თავისი საშინელებით აფერმკრთალებს ყველა წარსული უბედურებას, არ არის ეროვნულ სხეულის არც ერთი უჯრედი, რომ მტრის მოშხამული ლახვარი არ მოხვედროდეს. მტერი ცდილობს ერის ფიზიკურ მოშლას, სულიერ განიავებას. მაგრამ ამაოდ. ბრძოლებში გამობრძმედილი ერი სასწაულისებრივი სიმტკიცით, ღვთაებრივი სიდიადით დგას თავის კერის, თავის კულტურის, თავისი ნამუხის და სინდისის სადარაჯოზე. იშვიათი რანდობით მოაქვს ქართველ ერს ერთა თავისუფლების დროშა. მთელი მოწინავე კაცობრიობა არაჩვეულებრივი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ გიგანტურ ბრძოლას.

ქართველი ერი გადაიქცა სიმბოლოდ სიმართლე-ქვეშაობისა. ვინც მის წინამდებე ხმალი აიღო, ის უკვე მიკრულია ისტორიის შავ ბოძზე. შეჩვენებულია აწმყათი, კრულ იქნება მომავლის მიერ. არა არის რა ქვეყანაზე უძლიერესი გათვითცნობიერებულ, თავის თავის მოყვარულ და დამფასებელ ერისა. მტრის სისასტიკემ კიდევ უფრო აღამაღლა ეროვნული შეგნება, განამტკიცა ნებისყოფა, გაამხნევა სული. ქართველთ ვერავინ დაიმორჩილებს. რაც საუკუნოების განმავლობაში ვერ შეძლო ვერც ერთმა მტარვალმა, ვერ შეძლებენ დღევანდელი მტარვალებიც. მით უმეტეს, რომ დღეს უფრო ძლიერი ვართ, ვინემ გუშინ ვიყავით და ხვალ კიდევ უფრო ძლიერი ვიქნებით, ვინემ დღეს ვართ. მტერი კი დღითი დღე სუსტდება. მისი მორალურ-პოლიტიკური და ფიზიკური დაშლა დღეს უდავო ფაქტია. ბოლშევიზმა შთანთქა ყოველივე, რისი შთანთქაც მოახერხა. დღეს იგი თვით ინთქება. მთელი ძველი ბოლშევიკური გვარდია განადგურებულია. შინარღვევა არაჩვეულებრივი ინტენსივობით მიმდინარეობს. ყოველი ბოლშევიკი, მართლმორწმუნეა იგი, თუ არა, «აღნიშნულია» უკვე! ჩეკის რეპრესიები მათ ცხოვრებას პირდაპირ აუტანელს ხდის. თუ დღემდის «კონტრ-რევოლუციონური» ელემენტები იბრძოდენ ბოლშევიკური რეჟიმის წინამდებე, დღეს თვით ბოლშევიკური მასებია მისი განადგურების მსურველი. ერთად ერთი პოლიციური ძალაა, რელიგიი კიდევ აბოგინებს არსებულ რეჟიმს. მაგრამ



მხოლოდ ხიშტით წარმოუდგენელია მუდმივ ქვეყნის მართვა. როდესაც სისასტიკე ჩვეულებად იქცევა, იგი კარგავს შესაფერის ფექტს და მიზანს ვერ აღწევს. მოტყუებული, იმედგაცრუებული, სასო-წარკვეთილი მასები სტიქიონად იქცევიან და წალეკენ მოქალაქეთ. საბჭოთა იმპერია იშლება, ერთა თავისუფლება იჭედება. ჩვენ დიდი სიფხიზლით უნდა ვადვენოთ თვალი მოვლენათა მსვლელობას. განსაკუთრებული წინდახედულება და სიფრთხილე გვმართებს, რომ არ დავაჩქაროთ, არ გადავაჯარბოთ, ან არ დავაგვიანოთ ნაბიჯები. წარსულის გამოცდილება უხვად უნდა იქნეს გამოყენებული.

ილია ნუცუბიძე.

### გეგლინი და მოსკოვი

მსოფლიო მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე პროფესორი პაულ რორბახი რუსეთის კარგად მცოდნე გერმანელთა ვიწრო წრეს ეკუთვნის. მისი განსაკუთრებული ყურადღება თავიდანვე მიპყრობილი იყო რუსეთის ეროვნებათა პრობლემაზე და უპირველესად უკრაინის კითხვაზე. რომელსაც მისი თაობის პოლიტიკოსნი მეტად უყურადღებოდ და სკეპტიკურად უყურებდნენ. რორბახი უკვე ომის წინ მიუთითებდა ამ კითხვებზე გერმანელ პოლიტიკურ წრეებს. ომის დროს ის თვით იდგა საპასუხისმგებლო ადგილზე, ყოვლის უწინარეს როგორც ექსპერტი და «ცენტრალურ საინფორმაციო ბიუროს» ერთი მთავარ ხელმძღვანელთაგანი. თავის ამ დროინდელ გამოცდილებებს, დაკვირვებებს და დასკვნებს, რორბახი გვაცნობს დღეს ფრიად საინტერესო წერილში, რომელიც მოთავსებულია გერმანული თვიური ჟურნალის «ვესტერმანს მონატსპეფტე» ს თებერვლის ნომერში.

წერილის სათაურია: «რად მოხდა ასე?» ე. ი. რატომ ასეთი ბოლო ჰქონდა საერთაშორისო ომს? მეორე სათაურიც აქვს: «ის რასაც საერთაშორისო ომში ხელი შევაცაილებთ».

რორბახი თავის დანიშნულებად სთვლის არა წმინდა სტრატეგიული შეცდომების აღნიშვნას, არამედ ძირითად პოლიტიკურ შეცდომებზე მითითებას, რომელთაც მისი აზრით არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ, ვინემ პირველთ, და რომელთა სათავე მდებარეობდა იმ ავტორისთვის მეტად სამწუხარო ფაქტში, რომ «პასუხისმგებელ წრეებს აკლდათ გეოგრაფიულ-პოლიტიკური და ისტორიულ-პოლიტიკური ცოდნა». რორბახი ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით რუსეთის ვითარების არ-ცოდნამ ითამაშა საბედისწერო როლი.

სწორედ ომის წინა დღეებში ავტორი ამზადებს შრომას მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. უკვე ამ შრომაში აღნიშნავს იმ უდიდეს საშიშროებას, რომელსაც გერმანიისა და ავსტრიისთვის წარმოადგენს უზარმაზარი და ძლიერი ექსპანსიონისტური მიდრეკილებით გამსჭვალული რუსეთის იმპერია. მისი აზრით რუსეთი ადრე თუ გვიან

უნდა დატაკებოდა ავსტრო-უნგრეთს და გერმანიას, უპირველესად ავსტრიული უკრაინის საანექსიოდ, რომელიც თავისი ნაციონალ-კულტურული განვითარებით რუსეთის უკრაინის გამოღვიძებას დიდად ხელს უწყობდა, ამასთანავე პოლონური და სხვა სლავიანური ნაწილების წასართმევად და შეიძლება კიდევ უფრო ფართე ზრახვების განსახორციელებლად. ავტორი დაბეჯითებით მიუთითებდა თავის სამშობლოს ამ საშიშროებაზე. შრომა დამთავრებული არ იყო, რომ სერბიაში ავსტრიის კრონპრინცი მოჰკლეს, რასაც, როგორ ვიცით, საერთაშორისო ომი მოჰყვა. რორბახი ომის პირველ დღეებში ამთავრებს თავის შრომას და ჰბეჭდავს ამ სახელით: «ომი და გერმანული პოლიტიკა».

«ევროპის უშიშროება მოითხვავს—სწერს ამ წიგნში—რომ რუსული კოლოსი თავისი 170 მილიონი მცხოვრებლებით დანაწილებულ იქნეს, ვინაიდან რუსული პოლიტიკა მუდმივ საფრთხეს უმზადებს მსოფლიოს მშვიდობიანობას და შუა ევროპის ორივე სახელმწიფოს—გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის—არსებობას».

ავტორი აქვე განმარტავს, რომ ეს დანაწილება სრულიადაც არ ნიშნავს ერთი ცოცხალი სხეულის დაჭრას, არამედ პირიქით ხელოვნურად და ძალადობით ერთმანეთზე მიკრულ სხვადასხვა ეროვნული სხეულების გათავისუფლებას. აქ ის ავითარებს თავის ცნობილ მხატვრულ გამოთქმას, რომ რუსეთის იმპერია წარმოადგენს «ფართოხალს», რომლის ნაწილებს მხოლოდ კანი ამავრებს ერთმანეთთან. საკმაოა ამ კანის (ცარიშმის ტლანქი ძალის) ჩამოცილება, რომ აღნიშნული ნაწილებიც ერთმანეთს ადვილად მოსცილდნენ.

რორბახი და რუსეთის რამოდენიმე სხვა კარგად მცოდნე პირი სცილობენ ომის დროს, დაარწმუნონ გერმანიის მმართველი წრეები აღნიშნული გეზის მიღების საჭიროებაში.

«მაგრამ—ამბობს ის—ჩვენი ჯაფა და ბრძოლა იყო უნაყოფო, რადგან იქ, სადაც საკითხები წყდებოდა, ჩვენ ვხვდებოდით ისეთ უარყოფას, რომლის მიზეზი ჩვეულებრივ უვიცობა და წარმოდგენითი უნარის სისუსტე არის».

მსოფლიო ომი გრძელდება. რორბახი დაუღალავად უმტკიცებს ოფიციალურ უწყებებს, რომ გერმანიამ ამ ომში უნდა დაისახოს რეალური მიზანი, რომელსაც შეუძლებლობის ბეჭედი არ ახის. ასეთია რუსეთის იმპერიის დამარცხება და დაშლა და მის ალაგას აღმოსავლეთ ევროპის ეროვნულ სახელმწიფოთა ჯგუფის დაარსება. ამით გაჭრება დიდი საფრთხე გერმანიისთვის მის აღმოსავლეთით, მას ზურგი გაუთავისუფლდება, გერმანიის გავლენის ქვეშ და მის ეკონომიურ ორბიტაში იქნება მთელი ევროპის აღმოსავლეთი და აზიის დიდი ნაწილი. მით გერმანიის ეკონომიური და სამხედრო ძალა საგრძობლად გაიზარდება და მას ინგლის-საფრანგეთთან ღირსეული ზავის ჩამოგდებას საშვალეება ექნება.

მაგრამ მმართველ წრეებს ყოველივე ეს არ ესმით. მათთვის საფრანგეთ-ინგლისის სიძულვილი



(და აღბად პოლონეთისაც, რომლის გათავისუფლებაც რორბახის გეგმაში შედის) უძლიერესი გრძობაა, უფრო ძლიერია, ვინემ მტრობა რუსეთისადმი, ვინემ ყოველივე რეალური განსჯა და ხედვა.

1915 წლის ზაფხულზე, როცა აღმოსავლეთის ფრონტზე მომქმედი გენერალი პინდერბურგი რუსეთის ჯარებს პოლონეთში და ლიტვაში სასტიკად ამარცხებს, რორბახის აზრებს განსაკუთრებული საბუთი ეძლევა. ის ეხლა კიდევ უფრო მეტის ენერგიით და გატაცებით აწვითარებს თავის გეგმას. კიდევ ერთი დაკვრა და რუსეთის იმპერია დაიშლება. რორბახი მიმართავს ვრცელი მემორანდუმით საგარეო უწყებას, მთავარსარდლობას და ხელმძღვანელ პოლიტიკოსთა ვიწრო წრეს. რუსეთზე შეტყვის გაგრძელება და რუსეთის «ფართოხლის» დაშლა არის მისი აქტუალური მოთხოვნები. რორბახი ხედავს რუსეთის საშინელ სისუსტეს, რასაც ბერლინში ბევრი ვერ ამჩნევს. ომის შემდეგ გამოსაკარავებელი ფაქტები ამტკიცებენ რორბახის სიმართლეს.

საფრანგეთის ელჩი რუსეთში პალეოლოგი თავის მოგონებებში ამოწმებს, რომ რუსეთის მდგომარეობა ამუნიციის მხრივ უკვე 1915 წლის აპრილში იყო უმწეო და აგვისტოში კი სრულიად კატასტროფული. ეს მან გაიგო როგორც პირადი დაკვირვებით ისე იმ მრავალ საუბრის საშუალებით, რომელიც ჰქონდა მაგ. ცნობილ პუტილოვთან, გენერალური შტაბის შეფ ბელიაევთან, თვით საგარეო მინისტრ საზონოვთან და სხვ. იგივე პალეოლოგი კარგად ამჩნევს რუსეთის ერების მძიმე მდგომარეობას და აქედან მოსალოდნელ საფრთხეს. ის მიუთითებს ამაზედ პეტერბურგის პოლიტიკის ხელმძღვანელთ და ურჩევს მათ, შეამსუბუქონ არარუს ერების მდგომარეობა, სანამ უცხოეთი (გერმანია!), რომელიც გასაკვირ სიბრძავეს იჩენს ამ მდგომარეობის მიმართ, ბოლოს და ბოლოს შეამჩნევდეს და ისარგებლებდეს მას.

«როგორ შორს იყო გერმანია მაშინ—ამბობს რორბახი—ამ ფაქტების დანახვიდან, რისთვისაც ჰკვიან ფრანგს მხოლოდ ერთი წლით უცხოეთში ყოფნა დასჭირდა».

დაიხ, გერმანიის მმართველი შორს იყვენ ამ მდგომარეობის დანახვისგან და მათ არ გაიზარეს რორბახის და მისი მეგობრების წინადადება. იმის მაგივრად რომ შეეტია რუსეთზე, რომელსაც მაშინ პალეოლოგის მოწმობით საფრანგეთიც ამუნიციით ვერ მოეშველებოდა, გერმანიამ ჯარები გადმოყარა დასავლეთის ფრონტზე, რომ სახელდობრ ვერდენზე ისე როგორც წინედ ფლამანდიაში აურაცხელი მსხვერპლი უწყალოდ მოეტანა...

ამას ამჩნევდნ ინგლისელებიც. რორბახი იმოწმებს ლორდ ჩერჩილს, რომელიც თავის მოგონებებში მდგომარეობას სრულიად ისევე აფასებს, როგორც რორბახი. გერმანიის მაშინდელმა მთავარსარდალმა გენერალ ფალკენჰაინმა თავისი აღნიშნული არჩევანით: «სჯობს დავარტყათ უძლიერეს მტერს მის უძლიერეს ადგილას, ვინემ უსუსტეს მტერს მის უსუსტეს ადგილას»-ო, ლამაზი ეესტი გააკეთა, მაგრამ... ომი წაავა.

კატასტროფის წინაშე მდგარ რუსეთს მიეცა საშვალეობა მთელი ათი თვის განმავლობაში სული მოეთქვა და ძალა მოეკრიბა, რომ შემდეგ კვლავ უდიდესი ოპერაციები დაეწყო ავსტრიის წინააღმდეგ.

1916 წელი იწყება ვერდენზე გალაშქრებით, რომელსაც გერმანიისთვის კატასტროფული მნიშვნელობა აქვს. ამ წლის ივნისში რაიხსკანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი ისმენს რორბახის მოხსენებას. რორბახი მხარს უჭერს პინდენბურგს, რომელიც როგორც აღმოსავლეთის ფრონტის კარგი მცოდნე, თავიდანვე რუსეთზე გალაშქრების მომხრე იყო და რომელსაც ამის საშვალეობა არ მისცეს. შემდეგ რორბახი თვით მიდის აღმოსავლეთის ფრონტზე და უნდა ინახულს პინდენბურგი. მას ხედებიან კოვნიში ლუდენდორფი და ჰოფმანი. ვერდენზე გალაშქრებით ლიუდენდორფიც აღშფოთებულია, ამას პირდაპირ ბოროტმოქმედებას უწოდებს. მაგრამ რორბახის საერთო გეგმის მასაც არაფერი ესმის.

«რასაც თქვენ ამბობთ, ეს პოლიტიკაა, ამბობს ის. მე როგორც მხედარს პოლიტიკა არ მეხება. ხოლო მე რომ მიხდოდეს პოლიტიკის წარმოება, მისი სახელწოდება იქნებოდა: «მე მეზიზღება ინგლისი».

ლიუდენდორფი რომ პოლიტიკაში ერეოდა, ეს ცნობილი ფაქტია. აქ აღსანიშნავია მხოლოდ რომ ისიც, როგორც სჩანს, თავის პოლიტიკაში უფრო ხელმძღვანელობდა გრძობებით ვინემ სწორი ანგარიშით.

რორბახი სთხოვს ლიუდენდორფს, ანახვოს მას პინდერბურგი. ლიუდენდორფი უარზეა:

«ბრაუნშვაიგის ჰერცოგი არის მასთან სტუმრად. ამას გარდა მე აზრადაც არ მომდის, თქვენ შემთხვევა მოგცეთ, რომ ფელდმარშალს თქვენი იდეები განუვითაროთ».

რორბახი ბრუნდება უკან.

15 აგვისტოს რუმინეთი უერთდება ანტანტას, რაც არ მოხდებოდა, რომ გერმანიას რორბახის გეგმა განეხორციელებია.

მხოლოდ ეხლა, 1916 წლის 29 აგვისტოს ნიშნავენ პინდენბურს გენერალური შტაბის შეფად, ფალკენჰაინის ნაცვლად. მაგრამ უკვე გვიანდაა. რორბახს მოყავს ამონაწერი ცნობილი ინგლისური გაზეთის «მანჩესტერ გარდიენ» იდან, რომელიც ეხება პინდენბურგის დანიშვნას:

«პინდენბურგი რომ ერთი წლით ადრე დაენიშნით, გერმანია ომს მოიგებდა. ეხლა კი ისიც ვეღარ შესძლებს გერმანიის ჯარების მიზანთან მიყვანას».

ეხლა მხოლოდ ერთი იმედი და ბუუტავს მოუსვენარი პროფესორის გულში: რუსეთის რევოლუცია, რომელსაც ის თავიდანვე მოლოდინს. ეს მისი მოლოდინიც არავის ესმის. მის ინფორმაციას, ამ მოლოდინით გაქდნით, საგარეო საქმეთა სამინისტრო 1917 წლის თებერვლის ბოლოს (sic!) ტენდენციურად სთვლის. რორბახი სწყვეტს მასთან დამოკიდებულებას, ე. ი. მისთვის ინფორმაციების მოწოდებას. ორი კვირის შემდეგ ქვეყანა ხედავს რორბახის სიმართლეს. მას მსწრაფლვე იწყვენ იმავე საგარეო სამინისტროში: «ავიხსენი რუსეთის ვითარება». რორბახი და მისი თანამშრომელი აკეთე-



ბენ ვრცელ მოხსენებებს და სამინისტროს ერთი უმაღლესი მოხელე ბოლოს უპასუხებს:

«გმაღლობთ, ბატონებო! ესლა კი გვესმის, როგორ ყოფილა ეგ მოვლენები ერთმანეთზე დამოკიდებულიო».

«ამას გვეუბნებიან—მწარედ იგონებს რორბახი—მას შემდეგ რაც ჩვენ უკვე ორნახევრის წლის განმავლობაში რუსეთთან ომს ვაწარმოებდითო!»

რადგან გერმანიამ თავის დროზე რუსეთს ხელი შეუშვა, ამიტომ რორბახის სამართლიანი აზრით, რუსეთის რევოლუციამაც დაიგნიანა და იმდენი შედეგებიც ვეღარ მოიტანა. ამ დროს ამერიკა უკვე გამზადებული იყო ომში ჩასარევად, რაც მალევე მოხდა (1917 წლის ნაპრილს) და ანტანტას რუსეთის გამოკლება აუნაზღაურა.

რორბახი გერმანიის შემდეგი პოლიტიკითაც უკმაყოფილოა.

«საზავო მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკში იმით უნდა დაწყებულიყო—ამბობს ის—რომ საბჭოთა მთავრობისთვის არავითარი უფლება არ უნდა მიეცემა, რომ მას ძველი რუსეთის რომელიმე ისეთი ნაწილის სახელით ელაპარაკა, რომელიც ველიკორუსული ერის საზღვრების გარეშეა. ფინლიანდიდან კავკასიამდის უნდა გაეგონათ ყველა ერებს გერმანიის ლოზუნგი: თქვენ თავისუფალნი ხართ მოსკოვისაგან! თვით ვადასწყვიტეთ, სადაც გსურთ ყოფნა და რანაირი მართებლობაც გსურთ».

ამ ხაზის გადაჭრით და გაბედულად წარმოებით გერმანია, ცხადია, ძლიერ ბევრს მოიგებდა როგორც მორალურად ისე ნივთიერად. მაგრამ სამწუხაროდ გერმანიის პოლიტიკა აქაც მერყევი და გაურკვეველია.

აი 1918 წლის ბრწყინვალე მაისი! რორბახს იბარებენ კიევში მყოფი გერმანული უწყებები. აქ რორბახი ადგილობრივ სოციალდემოკრატიულ გაზეთში კითხულობს გრძნობით სავსე მისაღმებას, რომელიც მას უწოდებს უკრაინის თავისუფლების იდეის მამას ევროპაში.

«მაგრამ—დასძენს რორბახი—ყველა გერმანულ უწყებებში, რომლებთანაც კიევში საქმე მქონდა. მე ვხვდებოდი ნამდვილი უკრაინული კითხვის სრულ უცოდინარობას. არავის ესმოდა შინაგანი განსხვავება უკრაინელებსა და ველიკორუსებს შორის. ყველა სთვლიდა უკრაინის რუსეთთან მერმინდელ ავტომატიურ შეერთებას თავისთავად გასაგებად».

ასეთი გაუგებრობისა და გაურკვეველობის გამო გერმანიამ ვერ შეუწყო ხელი ჯეროვანად და დროიანად აღმოსავლეთ ევროპის (აქ შედის რორბახის გეგმით რა თქმა უნდა საქართველოც. Y.) სახელმწიფოთა ჯგუფის დაარსებას და განმტკიცებას, და ამიტომ ვერც თვითონ ისარგებლა.

ყველა ზემო ჩამოთვლილი მიზეზის გამო იყო უმთავრესად, რორბახის აზრით, რომ საერთაშორისო ომს გერმანიისთვის ასეთი საშინელი ბოლო მოყვა.

ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთიც ადვილად ახერხებს უმწეოდ დარჩენილი, სუსტი და გაუზარებელი ნაციონალური სახელმწიფოების—უკრაინის,

კავკასიის რესპუბლიკების და სხვათა—დაპყრობას.

«თითქმის მთელი აღმოსავლეთი ევროპა ჩაუვარდა ხელში ბოლშევიკებს და ამათ კი იქედან შექმნეს არსენალი, რომელიც მთელი დედა მიწისთვის საფრთხეს წარმოადგენს».

ამით ათავებს პროფესორი რორბახი თავის მოგონებებს და მათ ანალიზს. მისი სადღეისო დასკვნები მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა: შესწავლა უცხოეთის, უცხო ერთა მდგომარეობის, მათი მისწრაფებების და აგრეთვე მათი ფსიქოლოგიის. მისი აზრით გარდა ცუდი პოლიტიკოსობისა ომის დროინდელი გერმანიის მართებლობას ახასიათებდა ცუდი ფსიქოლოგობაც, რაზედაც უფრო ვრცლად ლაპარაკი ავტორს აქ არ სურს.

თვით რუსეთთან სადღეისო დამოკიდებულების შესახებ რორბახი კონკრეტულად მეტს აღარას ამბობს თავის წერილში. აქ ფრთხილად იმეორებს ოფიციალურ ვერსიას, რომ ბერლინი დღეს მოსკოვისგან მხოლოდ თავს იცავს და დასძენს კიდევ, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია დღევანდელ გერმანიას 1915 წელში დაშვებული საბედისწერო შეცდომის ანაზღაურება ურჩიოს. საკითხი კი, «მოპოვებენ თუ არა და ან როდის მოპოვებენ საბჭოთა კავშირის ერები თავისუფლებას, დამოკიდებულია ჯერ კიდევ თვალგადაუწყდენელ შინაგან განვითარებაზე ურალის მთების ორივე მხარეზეო». მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ მთელი ამ წერილით რორბახი მაინც ეუბნება თანამედროვე გერმანიას, რომ წინანდელი შეცდომები არ განიმეოროს...


Y.

### «ვეფხისტყაოსანი»-ს საკითხები

#### 1. ტექსტი.

ვეფხისტყაოსანს ერთი საკვირველი ამბავი სჭირს. მიუხედავად მისი შვიდასი წლის არსებობისა და მრავალნაირი გამოკვლევისა. პოემის ტექსტი ადდგენილი არ არის. დღესაც ამ საგანზე ისეთივე დავაა, როგორიც იყო წინეთ, საუკუნეთა განმავლობაში. ეს საკითხი თითქმის გადასტრა ვანტანგ მეექვსემ, დაბეჭდა მთლიანთ წარმოდგენილი პოემა, როგორც საბოლოო და სწორი. მაგრამ ჩქარა ეს ტექსტიც სადაოთ გახდა და დაიწყო «ყალბი ადგილების» ძიება. ერთხელ განსვენებულმა ალ. სარაჯივილმა ყურნალ «მოამბე»-ში გამოაქვეყნა იმდენი ეს «ყალბი ადგილები», რომ პოემისაგან ცოტა რამ რჩებოდა, რასაც სხვები თავის მხრივ სადაოთ აღიარებდნენ.

ყველა ძველი პოემა, რომელიც ხელიდან ხელში ხელთნაწერთა გადადიოდა, უპუველათ განიცდიდა ცვლილებას, შესწორებას, ჩამატებას, გაგრძელებას, თანახმათ გადაშწერის გემოვნებისა და მსოფლმხედველობისა. ამ საერთო ხვედრს ვერ აცდა რუსთაველიც. ეს თუ ის ტაეპი თუ სტრიქონები საფუძვლიანათ იწვევს ეჭვს და დავას. ეს ასე ყოფილა ყოველგან, ასეა ჩვენშიაც. მაგრამ რაც სხვაგან აღარ არის დიდი ხანია, ხლოა ჩვენში კი გრძელდება დღევანდ-



დლამდის, ეს არის პოემის მთლიანობის, მისი დასაწყისის და დაბოლოების უდაოთ მაინც წარმოდგენა, მთელი გაშლილი მოქმედების თავიდან ბოლომდე გათვალისწინება. თუ შესავალი კიდევ დავს იწვევს, დასაწყისი მაინც უდაოა, ხოლო დაბოლოება სამაგიეროთ გამხდარა დიდათ სადაოთ. ამ მხრით საყურადღებოა ბ. კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვეფხის ტყაოსანი, რაიცა თავდება ახალი თავებით, ვახტანგის მიერ ყაღბათ აღიარებულით. ეს გამოცემა ისევ სვამს ტექსტის საკითხს იმდენათ, რამდენათ ეს დაბოლოებას ეხება. თუ ეს საკითხი ვადაწყდა, თავი და ბოლო აღდგა, შიგნით ჩართული ტაეპების გაწმენდა შედარებით ადვილია. აი ამ საგანს ვუძღვნით ამ ჩვენ მოსაზრებას.

ისმება ორი საკითხი: პოემა თავდება ვახტანგისებურათ თუ მას უნდა ქონდეს გაგრძელება; და თუ გაგრძელება აუცილებელია, რამდენათ ასრულებს ამ დანიშნულებას ჭიჭინაძის ტექსტი. როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა?

ესეც ისე უნდა იქნას გადაწყვეტილი, როგორათაც ყველა სხვა სადაო საკითხები პოემისა. მართალია ის ტექსტი, რომელიც ეთანხმება მთავარ ხაზს, პოემის მოქმედების მსვლელობას, განვითარებას და ლოლიკას, უპასუხებს დასმულ ამოცანებს, ანათებს ბნელ ადგილებს—ერთი სიტყვით მის ხერხემალს, მის მუსკულებს, მის სულს და გულს. სახეში მისაღებია პოეტის შემოქმედების პროცესის ის შიტი მკაფიო, ლაკონური და ლოლიკური მწერალია. უცაბედათ, უადგილოთ არას წამოისვრის. ყველა მისი აზრი, დებულება, პლანი, მოქმედება, გადაბმულია ერთიმეორეზე, აცმულია ერთ მთლიან ძაფათ, ერთ შენობათ, რომლისაგანაც ერთი აგურიც კი ვერ გამოვარდება.

ვახტანგისებური ტექსტის ბოლო ეთანხმება მთელ პოემას, მის სულს და გულს? ბ. ჭიჭინაძე ამაზე უპასუხებს უარყოფითათ. სამწუხაროთ ამის შესაფერი დამამტკიცებელი საბუთები ვერ მოიყვანა. მისი ორიადე საბუთი პოემიდან ამოღებული მოკლებულია დაჯერების ძალას. ნამდვილად კი ვეფხ. ტყაოსანში მოიპოვება მრავალი სხვა ადგილები, მეტათ მჭრელი და ურყევი, რაიცა საესებით აქარწყლებს ძველ ტექსტს. განვიხილოთ ეს ადგილები.

ნესტან-დარეჯანი არის ტახტის ერთათ-ერთი მეგვიდრე; ის დაიკარგა და მას ეძებენ. ცხადია ეძებენ არა მარტო რომანიული მოსაზრებით, არამედ აგრეთვე სახელმწიფო მოთხოვნილებითაც. ქვეყანა საჭიროებს კანონიერ მეფეს. მისი საქმრო ტარიელი სრულიად არ მალავს, რომ ის ინდოთ მეფეა და ამ ტიტულს ყოველთვის იფერებს. ფრიდონს აცნობს თავის თავის ვინაობას და ისიც უპასუხებს: «შენ მალალი ინდოთ მეფე ჩემსა სადმე ხარ მოსული, სახელმწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა სრული» (ტაეპი 539; აბულაძის გამოცემა). ტარიელ უთვლის არაბთა მეფეს როსტევანს: «მე მოვალ მეფე ინდოთა დარბაზსა თქვენსა სეფსა» (1339). ბოლოს და ბოლოს ნესტან-დარეჯანი მიაგნეს, ტყვეობიდან გამოისხნეს, მოიყვანეს არაბეთში, აქედან დიდის ამალით და მხედრობით გააცილეს ინდოეთი-

საკენ, იარეს სამი თვე და ბოლოს «მინდროსა შინა სადილათ გარდახდეს უდილადოსა, ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სვამდეს არ დოსა» (1409). და იამ მინდროში თავდება პოემის მოქმედება! არც ტახტი, არც სრა, არც დედა-ქალაქი, არც რაიმე ქალაქი ან სოფელი, არც მტერ-მოყვარე, ერთი სიტყვით ორი მეფე ცოლქმარი მიატოვეს მეგობრებმა უდაბურ ადგილას და დაბრუნდენ თავიანთ სამშობლოში! არც ის სხანს თუ სად მდებარეობდა ეს მინდროი, ინდოეთში თუ მის გარეთ; ეს არის სამი თვის მგზავრობის დასკვნა, მაგრამ თუ მივიღებთ მანძილს, არაბეთიდან სპარსეთით ინდოეთისაკენ, და მგზავრობის პირობებს, ეს მინდროი შესაძლებელია სპარს-ინდოეთის საზღვართან მდებარეობდეს. «მტერობა ვერავინ დაიქაღოსა»-ო, მაგრამ რომელ მტერზეა ლაპარაკი არ სხანს; მტერნი შეიძლება ყოფილიყვენ სპარსელნიც, განსაკუთრებით მათი ბატონიშვილის მოყვლის შემდეგ, რომლის მკვლელი ტარიელი მისი ტერიტორიით მიემგზავრებოდა. რუსთველი არც ერთი ალაგი არ აქვს პოემაში ბურუსით მოცული; ყველა მისი აზრი, ყველა მის მიერ აწერილი მოქმედება ნათელი და თვალსაჩინოა. ამიტომ სრულიად დაუჯერებელია გამარჯვებულთა ბოლო მომენტი ასეთ ბურუსში გაეხვია და რაღაც იგავებით ელაპარაკა. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მეგობართა ზნე-ჩვეულებას, სტუმართ-მოყვარეობას და ავთანდილის დაპირებას.

დავუშვათ, რომ ეს მინდროი ინდოეთშია, მაგრამ აქ ხომ მტერი დვას; ნესტან-დარეჯანი სწერს ტარიელს ქაჯეთის ტყვეობიდან: «წადი ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა. მტერთაგან შეიწოვებულსა» (1162), ე. ი. ინდოეთში მეფე ცოცხალია და მტერს ებრძვის, რომელსაც დახმარება ეჭივრება. ხოლო მინდროში პურის საუკმელათ ჩამომხტარი ტარიელი მისი ამალით ვერც მეფეს ხედავს, ვერც მტერთ და თვითონ მეფდება. თუ მეფე მოკვდა, ეს უნდა იყოს აღნიშნული, თუ მტერი-უცხოელი—შიშით თავიანთ ქვეყნებში გაიქცენ—ესეც უნდა იყოს მოხსენებული. როსტევან მეფე ტარიელს აძლევს 80 ათასიან გამორჩეულ მხედრობას მტერთა შესამუსრავათ: «ავთანდილ თანა წამოყვეს წადით ლაშქრითა დიდითა, თქვენთა მტერთა და ორგულთა დაფრნდით, დაცასურდითა» (1393, 1395), ე. ი. მტერი იდგა ინდოეთში როგორც ნესტან-დარეჯანის ტყვეობის დროს, ისე შემდეგაც, ტარიელი დაბრუნებამდე.

ამოღენა ხალხი დაბანაკდა მინდროში პურის საუკმელათ; ეს სრულიად ბუნებრივია. «ღვინოსა სვამენ, არ დოსა», ესეც მისახვედრია. მაგრამ შემდეგ მოდის ტაეპები, რომელთა შინაარსი თილისმას უფრო შეეფერება, ვინემ რეალობას. აქ უცებ ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი სანატრელი, შვიდი ტახტი, სახელმწიფო საშვებელი გაუცვდელი, ... მისცეს კლიტე საჭურჭლეთა» და სხ. (1410-1411). ე. ი. ამ მინდროში მათ ტახტიც მიუღია, ხაზინაც ჩაუბარებია, საჭურჭლებიც დაურიგებია, ხოლო როგორ, რა თილისმით—ეს არა სხანს. ეს უუცველია ასე მოხდა, მაგრამ სად, შემთხვევით ნახულ



მინდორში თუ სადმე სხვაგან, რომელიმე დიდ ქალაქში, მეფეთა სასახლეში? უეჭველია მოხდა ტარიელის სატახტო ქალაქში შესვლა და ყველა ბოლოს აწერილი ამბები აქ დატრიალდა. და სწორეთ პოემას ეს მომენტი აკლია, აკლია დიდი მნიშვნელოვანი დასასრული—ტარიელის ინდოეთში ტრიუმფით მოგზაურობა და გამეფება. ასეთი ნაკლი, მოქმედების გაწყვეტა, გადახტომა, ულოლიკობა და არევი-დარევა სავსებით ეწინააღმდეგება რუსთველის შემოქმედებას და მის დალაგებულ მეთოდს. ის რეალისტიკა თავიდან ბოლომდე.

ამნაირათ, ყოველივე ეჭვს გარეშეა ის, რომ 1409 და 1410 ტაეპს შორის აკლია რამოდენიმე ტაეპები, აწერილობა ტარიელის მოგზაურობისა უდაბურ მინდორს და დედა-ქალაქს შორის. ეს ბოლო ამბავი, უეჭველია, უნდა ყოფილიყო მოკლეთ მოჭრილი, ვინაიდან პოემის ფაბულის გაშლა უკვე დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს და მას მხოლოდ შესაფერისი დაბოლოება მიეცეს, პოეტის ლოლიკის და მსოფლმხედველობის სახლებებში. და სწორეთ ეს ლოლიკა არ არის დატული, ბოლო თავდება ტარიელის და მისი ცოლის გამეფებით. მაგრამ არსაიდან არ სჩანს რომ ინდოეთის ტახტი ცარიელია, ნესტან-დარეჯანის მამა გარდაცვლილია. ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი წერილიდან კი, პირიქით, სჩანს რომ მეფე ცოცხალია და მას მიხმარება ეჭვირება. ასე ბუნდოვანათ ამ დიდ საკითხს რუსთაველი ვერ დატოვებდა და მას უეჭველათ გააშუქებდა.

აი ამ ნაკლის შევსებას ცდილობს ბ. ჭიჭინაძის ტექსტი. მას ჩაურთავს აღნიშნულ ტაეპებს შორის 39 ტაეპი და მით აღუდგენია გაწყვეტილი ძაფი. ეკუთვნის ეს დამატება რუსთაველს? ამაზე უარყოფით უპასუხებენ მრავალი მკვლევარი, მაგრამ მათ შესავფერი საბუთი არ მოუყვანიათ და მით საკითხი გადაუჭრელი დარჩენილა. ხოლო საბუთები კი ბევრი მოიპოვება თვით ტექსტში.

საკმარისია გულდასმით გადაიკითხოთ ის, რომ დაასკვნათ: არც მსოფლმხედველობა, არც სტილი და არც მუსიკა რუსთველური არ არის. და მართლაც, მთელ პოემაში არსად, არც ერთი მაგალითი არ არის ამოღებული საღვთო წერილიდან, არც დაბადების, არც სახარების, არც ყურანის, არც სიბერისეული წყობისაგან. ის ერთთათ-ერთი სიტყვა—მოციქული—რომელიც პოემის ზოგ გამოცემაშია შეტანილი, რასაკვირველია პოეტს არ ეკუთვნის. ბ. აბუ-ლაძე მას აწერს ვინმე გადამწერს. ნათქვამია: «წავიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რა გვარ სწერენ»; რუსთაველს კი ყოველგან ავტორიტეტათ მოყავს «მეცნიერი», «ბრძენი» ან რომელიმე ფილოსოფოსი. ამიტომ სრულიად სამართლიანათ ბევრ გამოცემაში მოციქულის ალაგას შეტანილია მეცნიერნი. ეს მით უფრო რომ ავთანდილია არაბი, მამასადამე საქრისტიანოს წმინდანებს თავის ავტორიტეტათ მერ მოიყვანდა. მაგრამ იმავე დროს არ მოყავს არც მაჰმადიანთა წმინდანები, ვინაიდან ამით დაეკარგედა და გმირს ქართული ხასიათი. ამიტომ პოეტის ყველა აზრები და შედარებები სავსებით საერო ხაზ-

ზეა დაწყობილი, სარწმუნოებათა გარეშეა მონახული.

ჭიჭინაძის ტექსტში ეს მთავარი ხაზი პოეტისა დარღვეულია და შიგ საქრისტიანო ჩანგი აქედრებულია. აქ მოთხრობილია ტარიელის და მისი არაბთა ამაღლის გლოვა-ტირილი, ოდეს გაიგეს ნესტან-დარეჯანის მამის გარდაცვალება. უცებ მათ სანუგეშოთ გამოყვანილია ქართველი ეკლესიის მეთაური—ქათალიკოსი! (მაგრა ექმნეს სულის მღებლათ ქათალიკოს-მაწყვერელათ) (1667). აშკარა შეუსაბამობაა, მახმადიანებს ქათალიკოსი ვერაფრით ვერ ანუგეშებდა. ეს არის არა უბრალო მიბაძვა რუსთველისადმი, არამედ ყალბი მიბაძვა. ამავე ხაზისა დაბადებიდან აღებული შედარებები, რასაც პოეტი არასოდეს არ მიმართავს, ხოლო მიმბაძველი კი რუსთველურათ ასაღებს: «აწ ნახეთ თუ გოლიათი გული ვითაამაგარა» (1673), ან და «ვით ნინეველნი ისინამდეს თავსა მტვერსა და ნაცარსა» (1689). ყველა ეს უეჭველია შეთხზულია ძალიან გვან, კლერიკალურ პერიოდში, პოემისათვის საეკლესიო ელფერის მისაცემათ.

ახლა გავზინჯოთ სტილი. რუსთველს ყველა თავისი აზრები გამოხატული აქვს ისეთი სიტყვებით, რომელიც მათ ზედმიწევნით აღბეჭდავენ. არავითარი ორ-აზროვნება, შეუსაბამობა, გადახვევა დამოხვევა არ არის. შინაარსი და ფორმა ერთმანერთზე მიმკვდარია. ჭიჭინაძის ტექსტი ასე იწყება: «ქედსა შედა გადმოაღდა მეტათ დიდი ქარავანი»; ეს ფრაზა ემსგავსება რუსთველისას, მაგრამ შემდეგი: «აკეები და სახედრები ერთობ იყოს შაოსანი», რუსთველური აღარ არის. კაცი შეიძლება იყოს «შაოსანი», ე. ი. შავათ ჩაცმული, და პოეტს კიდევაც აქვს ეს ნახმარი (198); აქ მხოლოდ განმეორებაა, რაც რუსთველურათ არ ჩაითვლება; ის ერთხელაც არ იმეორებს ერთხელ ნახმარ აწერილობას. მაგრამ «სახედრების» შაოსნობა, პირუტყვის შავათ ჩაცმა—ეს მეტათ ვულგარული მეტყველობაა, რაიცა არ მოუვა ჩობანო მელექესსაც. ქვემოთ უკვე ირკვევა რომ შავათ ემოსა მხოლოდ მგზავრებს და არა სახედრებს (1672). ე. ი. წინანდელი აწერილობა აქ უკვე დარღვეულია, ლოლიკა დაკარგულია. ტარიელ მათ ეკითხება: «ვინა ხართ, შავითა რა ტანი შეგიგლეხისა?» (1653); შეგლეხა ანუ შეგლეხვა შეიძლება კედლის, უსულო საგნის და არა ადამიანის. ხეირიანი პოეტი იტყოდა მის ალაგას «შეგიმოსია». «დიდა და წვრილსა ყველასა ცრემლის სის მსგავსი წვეთისა» (1655) ეს «მსგავსი წვეთისა» მეტათ უხეირო ნათქვამია; ქვეყანა იცრემლება. ცრემლი კი ერთი წვეთი ყოფილა! რუსთველი იტყოდა: «ცრემლთა დენა», «ცრემლი ღვარა», «ცრემლთა წყალები» და სხვა ასეთი აწერა, რითაც სავსეა პოემა.

ერთი სიტყვით დამატებული თავების სტილისტიკა სრულიად არ არის რუსთველური. პოეტის მსუბუქი, ცქრიალა ენის ალაგას წამოყენებულია მძიმე ენა, ნაძალადევი ლექსთა წყობა, არაბუნებრივი გამოთქმა, მუსიკას და პარმონიას მოკლებული. მიმბაძველი ცდლობს უეჭველათ დაემსგავსოს პოეტს და ალაგ-ალაგ მიმართავს რუსთველის განმეორებას და ამასაც სჩადის უხეიროთ. მაგ. პოეტის





ცნობილი ფრაზა «შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა», მიბაძვაში განმეორებულია ასე: «შიში ვერ გინსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯანია» (1679). მუსიკას ვინ ჩივის, ვრამატიკაც კი არ არის. რუსთველი სწერს რამაზ-მეფეს «ზედ არ მოგეპარებო», მიბაძველს ის ასე უხეიროთ გაუმეორებია: «მოპარვა მე შენი მე არ მწადიან» (1681). ავტორი ვერ ატყობს რომ მოპარვა და მოპარება სხვადასხვა სიტყვაა. მოხდენილია თვით ტარიელის ვულგარიზაცია, მისი სიტყვა-პასუხი მოკლებულია ზრდილობიანობას (1681).

ანაირათ, კ. ჭიჭინაძე მართალია იმაში, რომ ვანტანისებური ტექსტის ბოლო მოკვეცილია, არ არის მართალი იმაში, რომ ამ დაკარგული ბოლოს ალაგას ვიღაცას ლექსი ამ ბოლოთ გამოუცხადებია. თუ სახეში მივიღებთ რუსთველის ლაკონიზმს, გრძელი სიტყვის მოკლეთ მოჭრას, უნდა ვიფიქროთ რომ დაკარგული ბოლო შედგებოდა რამოდენიმე ტაეპისაგან, რაიცა შეიცავდა სხარტულათ აღწერას ინდოეთის მდგომარეობისა ტარიელის დაბრუნებისას. სანამ ეს ბოლო არ მოინახება და გაწყვეტილი კავშირი ტარიელის მიხედვით დაბანაკებას და მის გამეფებას შორის არ აღდგება, უნდა მოხდეს ტეხნიკური ცვლილება გამოცემაში. გამეფების ამბავი უნდა მოშორდეს პურის ჭამის ამბავს და ცალკე თავათ გაკეთდეს, როგორც პოემის დასკვნა.

რაც შეეხება თვით რუსთველის ტექსტში შეტანილ ცვლილებებს, ჭიჭინაძეს ესეც გაურჩევია და ბევრი სასარგებლო შესწორებანი შეუტანია. სამწუხაროთ ამ სფეროშიაც ვერ დაუცავს ზომიერება და რაც კი ხელში მოხვედრია, ყველა რუსთველურათ გამოუტანია. აი მავალითები.

აბულაძის გამოცემაში მე-76 ტაეპით თავდება ერთი თავი, ხოლო სწოლოში აქვს შეტანილი ვარიაცია, რაიცა ჭიჭინაძეს შიგ ტექსტში შეუტანია. ვინ არის მართალი? მართალია პირველი, ვარიაცია რუსთველის არ არის. რატომ? იმიტომ რომ ის განმეორებაა ტექსტის. და მართლაც, აქ სწერია: «კაცნი წავიდეს იარეს მათ ერთი წელიწადია, მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლადია; ვერცა თუნახეს მნახველი ღმრთისაგან დანაბადია, ცუდათ მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია». ვარიაცია ამბობს: «მონათა კადრეს, მეფეო ჩვენ ხმელნი მოვიარენით, მაგრამ ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით, მისსა მნახველსა სულდგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით...» მაგრამ ეგევე აზრი უკვე არის გამოთქმული პირველ ტაეპში, თითქმის იმავე სიტყვებით; მაშასადამე განმეორება რუსთველური ლაკონიზმის წინააღმდეგია და მას არ ეკუთვნის. სამაგიეროთ, ჭიჭინაძე მართალია, რაიცა ქვემოთ ორი ტაეპი აბულაძის სწოლოდან ტექსტში გადაუტანია, საიდანაც სჩანს თუ მეფემ როგორ გაიკეთა გული და გამხიარულდა. ამათი გამოგდება სწყვეტს აზრთ მსვლელობას და ლოლიკას; არა სჩანს მიზეზი მეფის გამხიარულებისა და მისი შემდეგი მოქმედებისა. მან მართლაც დაიჯერა რომ ტარიელის სახით ეშმაკი იჩვენა და დამშვიდდა. შემდეგ, აბულაძის 103 ტაეპს მოსდევს სწოლოში ვარიაცია, ჭი-

ჭინაძეს ესეც ტექსტში აქვს. დამის ადგილიც სწორედ აქ არის. რატომ? ამას ითხოვს ლოლიკა და აზრთა მსვლელობა; ავთანდილ გადასცემს შერმანდინს თინათინის სურვილს ტარიელის მონახვისა, ხოლო არა სჩანს რატომ ეს სურვილი მისთვის გადაიქცა ბრძანებათ და კანონათ, რის ასრულებისათვის თავსა დებს. სწოლო კი სწორეთ ამ მიზეზს ასახელებს, ამყდავენებს შერმანდინის წინაშე ავთანდილის და თინათინის სიყვარულს.

ვ. ტ. დამახასიათებელია ერთი მეტათ საყურადღებო გარემოება. აქ არსათ არ არის გამოყვანილი და მოქმედებაში ჩაბმული მისინური ძალები, ეშმაკები, დევები და ქაჯები, რითაც სასვა ყველა მისი ღრთის საერო ნაწარმოებები. პოეტი მათ იხსენიებს თანახმათ ხალხური ლეგენდებისა, მაგრამ ვინაიდან თვითონ მას ეს არ სჯერა, ამ ძალებს არ ამოქმედებს. მთელი ფაბულის გამლა და გატარება წარმოებს ბუნებრივ კალაპოტში. «ყარამანიანზე» და «ამირან დარეჯანიანზე» აღზრდილი მელექსენი, რასაკვირელია, ასეთ კალაპოტში ვერ ჩაეტეოდენ და შესაფერი «შესწორებანი» შეუტანიათ პოემაში. ჭიჭინაძეს ყველა ეს ხალას ქვემარტებათ მიულია და მოუცია ერთი ნაწყვეტი («სადრე-გმირო» ამბებისა. ის ტარიელს ალაპარაკებს: «დევთა ყვირილი, ძახილი ზეცამდის აიწეოდა, მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა» და სხ. (1699-1701), რაიცა გათავდა უამრავი დევების ნაწყვეთით ტარიელის მიერ! რეალური პიროვნება ტარიელისა იქცევა ფანტასტიურ პიროვნებათ ყარამანისა.

კმარა, კიდევ მაგალითების მოყვანა შორს წავიყვანდა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ყველა გამოცემა შორის ჭიჭინაძის გამოცემა ყველაზე უფრო დაშორებულია სინამდვილეს. როგორც ერთხელ ალ. სარაჯიშვილმა ვერ დაიცვა ზომა ვ. ტყ. შემცირებაში, ისე დღეს კ. ჭიჭინაძემ ვერ დაიცვა ზომა მის გადიდებაში.

ღროკი არის ამ უდიდეს ძეგლს ქართული კულტურისა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ავტორიტეტურ პირთა კოლექტიური შრომით მისი ნამდვილი ტექსტი აღდგეს.

ნ. ქლრდანიას.

**იტალია-თუჩქმთის დაახლოება**

ის, რასაც ამ თვის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ქალაქ მილანოში, უფრო ნამდვილად გამოიხატება სწორედ მცნება «დაახლოებით» იმიტომ, რომ სპეციალი შეთანხმება არავითარი დაწერილა, ხოლო «მეგობრობის» მოსაგებად ჯერ კიდევ მრავალი დამოკლებია არის გადასალახავი და დასაძლვევი, თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ ეს «მეგობრობა» თურქეთს აბამს საბჭოთა რუსეთთან, ხოლო ამ უკანასკნელთან იტალიის მიმართება ერთიანად წამნდარად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ინტიმურ კავშირსა და დამეგობრებას გერმანიასთან—მოსკოვის ახდილ მტერთან...



ცხადია ისიც, რომ თურქეთის დიპლომატიის უკანასკნელი მოქმედება კარგ გუნებაზე არ დაყვებოდა კრემლის ხალხს. საბჭოთა «საერთაშორისო აქციები» იმავე სიმაღლეზე რომ იდგნენ, როგორც ორი-სამი წლის წინად, საფიქრებელია, რომ თურქეთი უფრო თავშეკავებული იქნებოდა თვის საგარეო მანიფესტაციებში, ყოველ შემთხვევაში მოსკოვის «ცენზურა» ბევრ რასმე წაჰშლიდა რუსთუ-არასის ნაამბობ ნალაპარაკებიდან...

ხმელთაშუაზღვის პრობლემა, როგორც ქვემოთ დანიხავს მკითხველი, რუსეთს მუდამ აინტერესებდა: აია-სოფიანზე ჯვარის აღმართვის ზმანებას სარჩულად ედო ის, რომ რუსეთის ექსპანსია დასავლეთისაკენაც მოიმართებოდა, ხოლო პერსპექტივებიც წარმოტაცი იშლებოდა პოლიტიკურადაცა და ეკონომიურადაც.

ამ ზღვას იცავენ ისინი, ვისთვისაც ის სიცოცხლე და მყუდროებაა და მათ შორის იტალია ხომ პირდაპირ საზრდოობს და არსებობს მისი საშუალებით... გასაგებია მისი ბეჯითი ყურადღება ყოველი მოვლენისაკენ, რომელიც თუნდაც ოდნავ ეხება, ან ამღვრავს მის მკვებარ ზღვას...

თურქეთიც ამ ზღვის ქვეყანაა; უფრო მეტი, ის ერთგვარი დარაჯიც არის მისი: მას ხელთ უპყრია ამ ზღვის კლიტენი... თავის გარჯას ხმელთაშუაზღვზე წონასწორობის დაცვისათვის იტალია დამთავრებულად ვერ ჩასთვლიდა, თუ ამ მიზნისათვის თურქეთსაც არ მიიმხრობდა...

ვნახოთ, როგორ აშუქებენ ამ პრობლემას თვითონ იტალიელები:

«ილ მესაჯერო» 4 თებერვ.: «ყველას ახსოვს ის ამბავი, რომ 1931 წ. საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლები (ევროპის უნიის შესასწავლ კომიტეტში) თურქეთს უტოვებდნენ თითქმის განსაკუთრებულად სააზიო ფუნქციებს, ხოლო ამ განხრახვას წინააღმდეგ იტალია, რომელიც საჭიროდა სთვლის თურქეთის მონაწილეობას ევროპის საქმეებში, რადგანაც იგი ევროპის სახელმწიფოებისამებრ აღუშრვილი არის ღირსებითა და ავტორიტეტით»...

გაზეთი აღნიშნავს ზოგიერთ მომენტებს, რომელთა გამოისობით იტალიასა და თურქეთს შორის ერთხანად გაუგებრობასა ჰქონდა ადგილი, გარნა ორივე ქვეყანაში ჰგრძობდნენ საჭიროებას ერთგვარ «ჯენტლ. აგრ.» ისათვის:

«ამისა გარდა იტალიას არ შეუძლიან შეუთრგედეს იმ შესაძლებლობას, რომ რუსები ფათურბდნენ ხმელთაშუაზღვაზე ბოსფორისა და დარდანელის საშუალებით. ამ მხრივ რომის ინტერესები ეთანხმებიან ანკარისას: მართლაც განა თურქეთს შეუძლიან დაივიწყოს, რომ რუსეთი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა რეჟიმის სახით ხელს უწყობდა ოტტომანიის იმპერიის დაშლას. ის ავიწროებდა და ჰნთავდა შავიზღვის პირას მობინადრესა და კავკასიის ერებს უკრაინიდან დაწყებული საქართველოთი და სომხეთით დამთავრებულს. თურქეთი უნდა მიჰხვდეს, რომ ბოლშევიკური იმპერიალიზმი იმავე მიმართულებისაა და სახისა, როგორიც იყო

იმპერიალიზმი ცარისტული: ორთავეს მიზანი ერთი და იგივეა: დამკვიდრება მარმარილოს ზღვისა და დარდანელის ნაპირებზე».

«ლე ჯიორნალე დ იტალია» 5 თებერ.: «მილანოში შეხვედრა არის შესავალი იტალიისა და თურქეთის თანამშრომლობის განახლებისა. იგი ჰხურავს წარსულს—ცოტა არ იყოს მოქუშულს—და ჰხსნის უკეთეს მომავალს... ამ შემთხვევამ თურქეთს უნდა განუფანტოს ყოველგვარი შიში იტალიის პოლიტიკისადმი: თურქეთის ჰუმუნვას იწვევდა ლეროსის სამხედრო ბაზად ქცევა მის სიახლოვისა გამო დარდანელთან. მაგრამ მომიჯნავე ქვეყნის სიახლოვე, იმას როდი მოასწავებს, თითქოს მას თავდასხმის ზრახვები ჰქონდეს! ყოველი სახელმწიფო ამგვრებს თავის საზღვრებს, ეს კი იმას სრულებით არ მოასწავებს, რომ აი, აი, ატყდება ომი!.. ენლა, მონტროს შემდგომ, თურქეთიც შეუდგა დარდანელის გამაგრებას, გარნა იტალია არ მოისურვებს თავში გაიფლოს, რომ ეს შეიარაღება მის პაზიციებს ეშუქრებოდეს... ლეროსი სიმაგრედ იქცა ისევე. როგორც მრავლისაგან მრავალი სხვა სიმაგრენი არსებობენ ხმელთაშუაზე. ლეროსი იცავს აღმოსავლეთ აფრიკეთის გზებს. ამისდაგვარად ინგლისს გამაგრებული აქვს მალტა—საიმპერიო გზების დასაცავად ინდოეთის მიმართულებით...»

იქვეები მიმოიფანტნენ. იწყება ნდობის თანამშრომლობა... თურქეთი აზიური მპყრობელობა არის, ერთსადაიმავე დროს ევროპიულიც. საჭირო არის ევროპიული პოლიტიკის მიდევნაც: მან ეს გამოაშკარავა ბალკანეთის ლიგაში მონაწილეობით».

«ილ პოპოლო დი რომა». 6 თებერვ.: «ჯენტლ. აგრ.» არ არის მარტოდმარტო დამთავრებული სიტუმატიზაცია იტალია-ბრიტანეთის მიმართებათათვის. ეს არის მეტწილად მტკიცე საფუძველი, რომელზედაც დამყარებული უნდა იქმნას სახმელთაშუა წონასწორობა. დაწყებული არის რევიზიული პროცესი იმ ანორმალ სიტუაციისა, რომელიც დამკვიდრდა სანქციების პერიოდის განმავლობაში. ვითარცა პირველი ეტაპი უნდა დასახელდეს მიმართებათა გაუმჯობესობა იტალია-იუგოსლავიის შორის. ხოლო ამჟამად გადასაწყვეტად სდგას შემდგომი: ლიკვიდაცია ცივი ურთიერთობისა, რომელიც სუფევდა იტალიასა და თურქეთს შორის. აღნიშნული მდგომარეობა არ შეიცავდა ინტერესებისა, ანუ იდეების კონფლიქტს, არამედ მხოლოდ გაუგებრობას, ისიც მესამეთა ხელის ჩარევით... იტალია-თურქეთის მიმართებათა მოწესრიგება ძვირფას სამსახურს გაუწევს ევროპის მშვიდობიანობის საქმეს.

თურქეთის პოლიტიკის ცენტრალ პრობლემას ამოქმედებს სრუტეების სიტუაცია; ამის თაობაზე იტალიას თვისი სიტყვა ამნობამდის არ უთქვამს.

სრუტეების საკითხი წამოიჭრა მაშინ, როცა რუსეთმა 1774 წელს, ყირიმის ანექსიის შემდგომ, გამოამქლავნა დაუფარავი ტენდენცია ხმელთაშუაზღვისაკენ გზის გაკაფისათვის... აქედან იწყება ბროლა უპირატესობის დარდანელზე... თურქეთი



უარს ვერ იტყოდა თვის უპირატესობაზე: სამხედრო ძალთა ადეკვატობის უქონლობისა გამო ეს იქნებოდა სიკვდილის განაჩენი; პრივილეგიები მას უნდა შენახოდა...

დიდი ომის წინა წლებში სრუტეებმა ახალი სიმწვავე იკრძნეს: გერმანიის იმპერია, რომელიც გამჭრიახსა და მუყაით პოლიტიკას ეწეოდა, რომ ეკონომიურად შეჭრილიყო თავის მეგობარ სახალიფათო თურქეთში, აღმოსავლეთისაკენ ახალი გზების გახსნის ძიებაში იყო...

ამასობაში ატყდა ომი. რუსეთი და ინგლისი ხელიხელ იბრძოდნენ. მაგრამ როცა ჩამოვარდა ზავი, რუსეთი აღარ არსებობდა, ამიტომ როდესაც დადგა დრო რაიმე გარკვეული გარდაწყვეტილების გამოტანისა, არბიტრად დაშთა ინგლისი, რომელმაც ყველას თავზე მოახვია სევრში 1920 წელს ის, რაც აუცილებელი იყო, რომ თურქეთი მოგებაში ყოფილიყო... გარნა ტრაქტატი ურათიფიკაციოდ დატოვებულ იქმნა.

ქემალმა ბერძენები ზღვაში გადაყარა... დაძაბუნებულ ოტტომანის იმპერიის ნამსხვრევებზე აღმოცენდა ახალი თურქეთი. საპირო შეიქმნა პრობლემის განმეორებითი რევიზია და ასე დაიწერა ლოზანის ტრაქტატი. რუსეთი იმ დროს დიდად ირჯებოდა სრუტეთა სრულს დაეცისათვის: ამას აქმნევიანებდა მას შიში თავდასხმისა შავზღვანე შეუიარაღებლობისა გამო. ახალმა ტრაქტატმა საწინიოთ გამოაცხადა პრინციპი თავისუფალი ტრანზიტისა როგორც მშვიდობიანობისა, აგრეთვე ომის დროს, ერთის შეზღუდვით, რომ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც შავ ზღვას არ ეკვრიან, არ შეეძლოთ მუნ თავის ძალების გაგზავნა, რათა აღნიშნულ ზღვაზე არ დარღვეულიყო ეკვილიბრობა. თავისუფალ ტრანზიტის საგარანტიოდ უნდა მომხდარიყო დემილიტარიზაცია: დარღვევისა და ბოსფორისა, მარმარილოს ზღვის ყველა კუნძულებისა და ეგეის იმ კუნძულებისა, რომელნიც ბატონობენ სრუტეების შეერთებაზე ხმელთაშუაზღვაში.

მოსალოდნელი იყო, რომ ახალი სიტუაცია ვერ იმუდმივებდა, რომ აღარე თუ გვიან მოვიდოდა ჟამი, როცა თურქეთი პრეტენზიებს განაცხადებდა თავის ბატონ-პატრონობისა და სუვერენულ უფლებათათვის...

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს მონტროში გამართულ კონფერენციას და ამბობს, რომ იქ დადებული ხელშეკრულება არის დარღვევა წონასწორობის, და დასძინს:

«იტალიას არ მიუღია მონაწილეობა კონფერენციაში, ამიტომ მისთვის ეს ხელშეკრულება არის res inter alios. ახალ ტრაქტატს არ შესწევს პერფექტი ძალა, რადგანაც არღვევს და ჰფუშავს 1923 წლ. ლოზანის ტრაქტატს. მას არც შეიძლება მიეცეს ძალა, უკეთუ არ იქნება მიღებული უკანასკნელის ხელის მომწერთა მიერ».

ტ. ინგილო.

ბერლინი და ბერლინი

ბერლინი და საზოგადოდ გერმანიაში მცხოვრებ ქართველობას საპატიო ადგილი ეკუთვნის ჩვენს ემიგრაციაში. იქაური თანამემამულეების მუშაობა განსაკუთრებით კულტურულ დარგში დიდი ყურადღების ღირსია და წასაბამი მაგალითი ყველა ქართველისათვის.

სამი ქართველი ახალგაზდა პროფესორებად არიან მიწვეულნი უნივერსიტეტებში და ღირსეულად ასრულებენ თავის მოვალეობას, ნდობა და პატივიც აქვთ მოპოვებული. ბერლინის უნივერსიტეტში არსებობს ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი წარსულის ცნობილი ქართველი მკვლევარი. გადაწყვეტილია უკვე ქართული კულტურის კათედრის გახსნა ბერლინის უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში და ამისთვის მოწვეულია სათანადო ცოდნით აღჭურვილი ქართველი მეცნიერი. გერმანიის განათლების სამინისტროს დადგენილებით დანიშნულია რუსთაველის დღესასწაულის მოსაწყობად საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარეა ქართულის მცოდნე და ქართველების დიდი მეგობარი ბ. მეკელიანი. გერმანიაში კარგა ხანია მოღვაწეობს ჩვენი ცნობილი მწერალი გრ. რობაქიძე, რომელიც კითხულობს საჯარო ლექციებს უმთავრესად საქართველოს შესახებ და დიდს ყურადღებას იპყრობს და რომლის ექვსი რომანი გამოცემულია გერმანულად საუკეთესო ფირმის მიერ (ორი რომანი ჩეხურადაცაა დაბეჭდილი და ერთი იტალიურად). რამდენიმე ქართველი სპეციალისტი მსახურობს გერმანიის სამრეწველო დაწესებულებებში და ზოგს მათგანს განსაკუთრებული ნდობა აქვს დამსახურებული. გერმანულ ენაზე გამოცემულია ქართველის დაწერილი (იასონის ფსევდონიმით) ოთხ ტომიანი გამოკვლევა სინემატოგრაფიულ წარმოების შესახებ, რომელიც მეტად საპირო წიგნადაა მიჩნეული თავის დარგში.

გერმანულ ჟურნალებში და გაზეთებში ხშირია წერილები გერმანელების ან ქართველების საქართველოს წარსულის, აწმყოსა და კულტურის შესახებ, რეცენზიები და გარჩევა ქართული წიგნების...

ყველა ეს აშკარად მოწმობს გერმანიაში მყოფ ქართველების ნიჟსა, ცოდნას და აქტივობას და ესეთი მათი ღირსება შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო გერმანელებისთვის. მართალია, ბერლინის ქართველობაშიც, როგორც ყველგან ემიგრაციაში, არსებობს ჯგუფური და პიროვნული უთანხმოება და დავა, რომელიც გარედაც გადის და უცხოელებზე ცუდად მოქმედობს. მაგრამ ამას გახვიადება არ უნდა, და იმედი უნდა ვიქონიოდ, რომ თვითონ ბერლინელ თანამემამულეების საერთო მონდობებით ეს ყველაფერი თანდათან შენელდება და ამოიწურება.

რომ მიუხედავად ამ ნაკლისა, იქ მცხოვრებ ქართველებს საერთოდ გერმანელების ნდობა და ყურადღება აქვთ დამსახურებული, — ამას ნათლად მოწმობს, სხვათა შორის, ნინოების დღეობა, რომელიც გაიმართა ბერლინიში გასული იანვრის 27-ს.

დღესასწაული მოაწყვეს ბერლინელმა ქართველმა ქალებმა, კალონიის გამგეობის თანამშრომლობით. საღამო გაიმართა ბერლინის ერთ ერთ საუკეთესო დარბაზში და დაესწრო რჩეული გერმანელი საზოგადოება. იშვიათი ენერჯია, საქმის სიყვარული და უნარი გამოიჩინეს ქართველმა დედებმა და ქალებმა. საღამო იყო თითქმის უნაკლო, მეტად მრავალფეროვანი, შინაარსიანი, მხიარული და ერთი საუკეთესოთაგანი, რომელიც კი ბერლინს უნახავს (ასე ამბობდნენ სტუმრები).

საღამო-ბალი გაიხსნა ქართული ჰიმნით, რომელიც ყველამ ფეხზე დგომით მოისმინა. შემდეგ ქართველი ქალების სახელით ასეთი მიმართვა იქნა წაკითხული გერმანულ ენაზე:

«დიდად პატივცემულო სტუმარო,

გერმანიაში მყოფ ქართველ ქალთა სახელით მოგესალმებით თქვენ ყველას მხურვალე ქართულის საღამოთ. გვიხარია, რომ ჩვენმა მოწოდებამ ასეთი გამომხატურება ჰპოვა და დღე ჩვენის წმინდა ნინოსი აქაც ქართულ კულტურის ტრადიციულ დღედ იქცა.

ქართველ ერს, რომელმაც ამ 16 საუკუნის წინად ქრისტიანობა თავის სახელმწიფო და საერო სარწმუნოებად აღიარა, თავის გრძელ ისტორიულ გზაზედ მრავალი დევნა და ძლიერ მტერთა შემოსევა განუცდია, მაგრამ ვაზის ჯვარი—ეს სიმბოლო ახალისა, წმ. ნინოს მიერ კურთხეული და ღვთისმშობლის წილხდომილ მიწაზე მოტანილი, არასდროს ხელიდან არ გაუგდია... პატარა ქართველი ერი გახდა თავიდანვე დარაჯი და შეფიცული რაინდი ამ წმინდა ჯვარისა. აი, 16 საუკუნეა სდგას ევროპის შორეულ მიჯნაზე და იცლება სისხლისაგან. მრავალი ველური ურდო შემოსევია მას და ევროპის კულტურის გასანადგურებლად მოწოდებული ტალღები პირველად ამ საქრისტიანო კულტურის მოწინავე დარაჯს ეხეთქებოდა მთელის ძლიერებით.

მაგრამ ქართველობა ხმლით და ჯვრით ხელში მუდამ გაუტეხელად იბრძოდა. მტერს ევროპის ამ ყველაზე უმნიშვნელოვანეს კარებს არ უღებდა...

იგი დასავლეთისკენ იცქირებოდა, სწამდა თვისი უმაღლესი მისია და სჯეროდა, რომ ევროპის და ქრისტიანობისთვის თავგანწირვა ოდესმე მაინც გამოითლებას იპოვნოდა და პატარა საქართველოს დიდი მსხვერპლიც ღირსეულად დაფასდებოდა. ამ რწმენით გადავიდნენ ჩვენი თაობანი 16 საუკუნის სიგრიძეზე და ეს რწმენა გვასულდამულებს ჩვენ დღესაც.

ენლაც საქართველოს მიწა-წყალი უდიდეს და უსაშინლეს მტერს უპყრია კლანჭებში და ჩვენი ეროვნული სული და კულტურა უმძიმეს განსაცდელშია, ქართული სხეული იკორტნება, უძველესი საქრისტიანო სახელმწიფოს დროშა იფლითება და წითელი მტერი ძველს, რაინდულ ერს მოსპობას უბრძობს. ხოლო ისტორიული სასწაული მაინც ხდება: ქართულ უძველეს, ათასწლოვან ტაძრებში ზარის გუგუნი მაინც გაისმის, ქართველი ისევ ძველებურის სიამაყით სდგას ამ ტაძრების კარებთან

ხმლით ხელში და ქართველი დედა მის ზღუდეში ვაზის ჯვრის წინ ფეხმორთხმული შეღალადებს წმინდა ნინოს, კვლავ შეიწიროს სამშობლოსათვის მისი შვილები და შეავედროს ღვთის მშობელს—შეგვიანხოს ეკლის გვირგვინით მოსილი, მაგრამ ნათელით გაშუქებული საქართველოს სხეული.

ჩვენც, ჩვენი ძვირფასო სტუმრებო, აქ მყოფი ქართველი ქალებიც ვუერთდებით ამ ლოცვას, ვამაყობთ იმით, რომ შვილნი ვართ ჩვენის წამებულის დედების და ზურგს გვიმაგრებს, გვაძხვნივს ის გამოძახილი, რომელსაც თანდათან ჰპოულბს ევროპის შუაგულში ეს მოწოდება... ჩვენ ვხედავთ, რომ ის უმაღლესი განძი, რისთვისაც ქართველი ერი თავს სდებდა: მამულის და ერის სიყვარული, მამაპაპათა ხნე-სარწმუნოების განმტკიცება და ნაციონალური სიწმინდის დაცვა დღევანდელ ევროპის ძლიერ და კეთილშობილ ქვეყნებში უდიდეს მრწამსად არის გამოცხადებული. და პატარა საქართველოს წინაშე ისახება აღდგომის და რენესანსის იმედები...

ჩვენ გვერიდება მარტო იმის, რომ ჩვენი აქაური მცირედის ძალებით არ შეგვიძლიან ოდნავ მაინც გიჩვენოთ ქართული კულტურის და რაობის სახე, გავაცნოთ ჩვენი ეროვნული სული, იერი, გადავიშალოთ საქართველოს მზიურ ფერადებით სავეს მშვენიერება...

მაგრამ ჩვენ ერთი რამ მაინც გვაქვს: ეს არის ქართული გაშლილი გული და წრფელი პატივისცემა თქვენდამი... და როცა ეს სამოციოდე გადმოხვეწილი ქართველი, რომელსაც აქ მეგობრული და თბილი მოპყრობა ნახეს,—ელირსებიან სამშობლოს განთავისუფლებას და ჩვენ ჩვენი ერის წინ წარვსდგებით,—მათ ვუამბობთ თქვენი კეთილშობილების და სტუმართმოყვარეობის ამბებს და ქართველი ერი—გრწამდეთ—ვალთი არ დარჩება არც თქვენსა და არც იმ ათასეულ გერმანელისადმი, რომლებიც საქართველოს მიწა-წყალზე სცხოვრობენ და ჩვენს ჭირს და ვარამს დიდი ხანია ეზიარენ...»

მიმართვას მოჰყვა გერმანიის ჰიმნი. შემდეგ ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათი—წმ. ნინო ვაზის ჯვრით და მის გვერდით დაჩოქილი ორი ქალი, ზეცისკენ თვალაპყრობილნი ლოცულობენ. სურათმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა და განმეორებულ იქმნა. სიმებანიმა ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე ქართული მძტივი. ცეკვა გაიხსნა ქართული ლეკვრით, რომელიც შეასრულეს ეროვნულ ტანი-სამოსებში ქალ-ვაჟმა და საერთო აღტაცება გამოიწვიეს. ლეკური ბევრჯელ ითამაშეს შემდეგ, ეროპიულ ცეკვის შუა, სხვადასხვა პირებმა და ყოველთვის დიდი მოწონება ჰქონდათ. ითამაშეს აგრეთვე უხუნდარა და კინტოური. ერთი ლეკურის შესრულების დროს თარის და დარის მუსიკა გადაღებული იქნა რადიოთი და მეორე დღეს მთელს გერმანიას გადასცეს მცირე, სიტყვიანი საქართველოსა და ქართველებზე. მომზიბლავი იყო დარბაზში ქართველ ახალგაზდა ქალების ჩამოვლა ქართულ კაბებში, რომლებიც დოქებით ღვინოს უსხამდენ სტუმრებს.

როგორც ვსთქვით, საღამო მეტად მოწონა ყველას. მხიარულობა საყოველთაო იყო და არ შეწყვე-

ტილა დილის ექვს საათამდის. აღსანიშნავია ქართული ბუფეტი, ქართულად მოწყობილი, ქართველი ისტორიულ პირთა სურათებით. მიუხედავად იმისა, რომ სანოვანე საყოფანი არ აღმოჩნდა, მაინც ბუფეტმა დასტოვა ორი ათას ფრ. მოგება.

გერმანულმა პრესამ წინააღმდეგობას წინააღმდეგობა უძღვნა წერილები და გამართვის შემდეგაც სიმპატიით აღნიშნა მისი წარმატება.

წელს ეს მესამედ გაიმართა ბერლინში წმ. ნინოს დღე. ამიერიდან მას მოპოვებული აქვს მკვიდრი ნიადაგი და მომავალში, უეჭველია, იგი კიდევ უფრო და უფრო გახდება ქართული სულის და კულტურის დემონსტრაციად.

—ა.

### ბ ი ბ ლ ი ბ გ რ ა შ ი ა

ვანო ქავთარაძე. «ნა პუტიას კონფედერაციი კავკასია», 1937 წ.

ემიგრანტულ ლიტერატურას შეემატა კიდევ ერთი ახალი წიგნი (რუსულად), რომელიც ეკუთვნის ვინმე ვანო ქავთარაძის კალამს. 133 გვერდიან ტექსტს წინ უძღვის 13 გვერდიანი შესავალი. ამ შესავლიდან ვტყობილობთ, რომ თურმე «ჩვენ» გვეშინია კრიტიკის, სიმართლის; ფიქრობთ, რომ ყველაფერს გაკეთება ვიცით და ყველაფერის ნიჭი გვაქვს, ამავე დროს «გვიჩვენებია სიმართლე არ გავიგონოთ და არ დავინახოთ, დავმართოთ იგი და ერთმანეთს ველაქუცოთ. იქნება კლასიკური თვითმოტყვილება». ამ გარემოებით დაღონებულ ბ-ნ ქავთარაძეს დიდხანს უტდია, რომ გამოჩნდებოდა ვინმე მასზე უფრო მომზადებული და ნიჭიერი, რომელიც გაზედავდა და გაგვაგონებდა ამ სიმართლეს, მაგრამ იმედი გაცრუებია და ისევ თვითონ აულია თავის თავზე ამ საპატიო მისიის შესრულება, — სიმართლის მოციქულად გამოსვლა.

წიგნი შეიცავს ორ ნაწილს. პირველ ნაწილში ავტორი გვიყვება კავკასიაში მომხდარე ერების ისტორიას. ჩვენ არ შევჩერდებით წიგნის ამ ნაწილზე, გაკვრით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეგ ისტორია მეტად მსუბუქად და უფიცად არის გადმოცემული; იგი მეოთხე-მეხუთე კლასის მოწაფის საკლასო ნამუშევარს უფრო გავს, ვინემ სერიოზულობის ნიშანწყალის მქონე ისტორიულ ნარკვევს. თან ავტორი იჩენს თავის ერის წარსულის სრულს უპატივცემულობას, რაიცა შეუწყნარებელია. ამ ვითომც და ისტორიას მოსდევს 1917 წლის დიდი რევოლუციის შემდეგ შექმნილ მდგომარეობის მიმოხილვამიუხედავად იმისა, რომ ავტორი შესავალში გვპირდება სრული ობექტიურობის დაცვას და მიუდგომელ მსაჯულობას; იგი თავის მიმოხილვას ამყარებს არა ფაქტებზე და საბუთებზე, არამედ ქუჩაში შეგროვებულ უარებზე და საკუთრად მის მიერ შეთხზულ ამბებზე. აი მაგალითად ერთი ასეთი ამბავი.

ავტორი მოგვითხრობს, რომ საქართველოს «ოფიციალური ორგანოები» მას შემდეგ, რაც საქა-

რთველ 1921 წლის 27 იანვარს «ლიგის საბჭომ»<sup>\*</sup> იცნო, მხოლოდ იმის ცდაში ყოფილან, რომ ქართველი ერის სიფხიზლე მიეძინებიათ. დაერწმუნებიათ იგი, რომ ამიერიდან საქართველოს დარაჯად უდგას მთელი განათლებული და კულტურული ევროპა. მთელი კაცობრიობაც და მას არაფრის შიში არ უნდა ქონდეს. ამ ნეტარ მდგომარეობის დასამოწმებლად მთავრობას მობილინაციით გაწვეული ქართველობა «უვადო შევებულებაშიც» კი გაუშვია, მაგრამ ერის სავსებით დამშვიდება მაინც ვერ მოუხერხებია. მაშინ სხვა საშუალებებისთვისაც მიუმართავთ, სხვა ზომები მიუღიათ. 1920 წლის შემოდგომაზე თურმე ქართველი ერის დასამშვიდებლად და მისი სიფხიზლის საბოლოოდ მისძინებლად მოუწვევიათ მთელი თავისი შემადგენლობით მაკდონალდის, ვანდერველდეს და კაუციკის მეთაურობით მერე ინტერნაციონალის პრეზიდიუმი», რომელსაც შემოუვლია მთელი საქართველო და დაპირებია ქართველ ხალხს «ყოველგვარ დახმარებას» (sic!)<sup>\*\*</sup>. ამ «მიუდგომელ ისტორიიდან» გარეშე მკითხველი უთუოდ იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ საქართველოს «ოფიციალური ორგანოები», უკედ რომ ვსთქვათ, საქართველოს მთავრობა მოღალატე ყოფილა და ყოველივე ზომა მიუღია იმისთვის, რომ ქართველი ერისთვის შეგნებულად დამალა კარზე მომდგარი ბოლშევიკური საფრთხე, რათა ბოლშევიკებისათვის გაემზადებია იოლად გადასაცლამავი გემრიელი ლუქმა.

ცხადია, რომ ამისთანა «ისტორიის» ავტორს ამოქმედებს არა სიმართლე, არამედ სიძულვილი. ამას იგი უფრო მეტი სინათლით ააშკარავებს წიგნის მეორე ნაწილში. ავტორი ამ ნაწილსაც ძველი ისტორიით იწყებს და, გარდა მცირედი გამოკვლებისა, იმასვე იმეორებს, რაც მკითხველის გასანათლებლად და განსასწავლად პირველ ნაწილში გვიამბო. ამის შემდეგ იწყება ნამდვილი მარგალიტები; მოვიყვანთ ზოგიერთებს. «უფროსმა თაობამ წააგო ყველაფერი; შეიძლება ითქვას, გაკატრდა»; «ყოველგან მეფობს სიყალბე, ფენის დადება, დატყვილება, ინტრიგა, გამყიდველობა და სს., რაიც უკვე გახდენ თანამედროვე მორალისა და ეთიკის ელემენტებად. ყოველგან გრძობ ადამიანის გახრწნილ ტიპისა და სინდისის ლემის სუნს».

დიდ სიძურვილს იჩენს ბ-ნი ქავთარაძე უფროსი თაობისადმი, მაგრამ განსაკუთრებით დაუბრმავებია იგი ეროვნულ მთავრობისა და სოციალდემოკრატიულ პარტიის სიძულვილს; არ არის ისეთი ბოროტება, რომელსაც იგი ამ უკანასკნელთ არ აწერ-

<sup>\*</sup> ბ-ნ ქავთარაძეს ისიც კი არ სცოდნია, რომ 1921 წ. 27 იანვარს საქართველო იურიდულად იცნო არა «ლიგის საბჭომ», არამედ გამარჯვებულ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ.

<sup>\*\*</sup> როცა ავტორი ასე აბუჩად იგდებს ამ «დახმარებას», ის მაინც არ უნდა დავიწყებოდა, რომ ვანდერველდეს და მისი ამხანაგების დახმარებით იყო უმთავრესად, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს ალიებმა.

დეს, მოჩმანულია ათასნაირი ჭორი. არც ერთი საბუთი, არც ერთი სწორი მაგალითი. თურმე ეგ მთავრობა უცხოეთში მხოლოდ და მხოლოდ თავის პარტიულ საქმეებზე ზრუნავს და პარტიულ პროპაგანდას ეწევა. ბ-ნ ქავთარაძეს რომ სიმართლე აინტერესებდეს, ბ-ნ ივ. ზურაბიშვილის ბროშურას მაინც წაიკითხავდა (ივ. ზურაბიშვილი — საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936). იქ ის ნახავდა საქმაო საბუთებს იმისა, რომ ეროვნული მთავრობა და მის ირგვლივ შემოკრებილი უფროსი თაობა — სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები — ეროვნულ საქმეს აკეთებენ ამ უცხოეთში და არა პარტიულს. მეორე ბროშურა. — კ. გვარჯილასის «საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის მუშაობა სსრკ-ს გარედა», — გააცნობდა მას. რომ ეგ პარტია თავის მიზნად ისახავდა ხელი, შეეწყო იმგმირულ ეროვნულ ბრძოლისთვის, რომელსაც ქართველი ერის აწარმოებს საქართველოში.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ბ-ნ ქავთარაძეს არც სიმართლე აინტერესებს და არც საბუთები. მას მკითხველი ბრიყვად მიაჩნია და ფიქრობს. რომ, უსაბუთოდაც დაიჯერებს ახალმოვლენილ ისტორიკოსის შეთხზულ ზღაპრებს, რომელთაც საცხებით გარკვეული განზრახვა უდევს სადუქვლად. ეგ განზრახვა დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ მთელი უფროსი თაობა განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა ცოცხალი ღეშია. მისი ტენი და სინდისი გახარწნილია<sup>\*)</sup>, მისი საქმიანობა უვარგისი და მაცნებელია, მისი პროგრამა დრომოქმულია; მდგომარეობის ხსნა შეუძლია უმცროს თაობას (აღბად ეს თაობა ბ-ნ ქავთარაძის ირგვლივ იყრის თავს!..) და ქავთარაძის ახალ პროგრამას. აი ეგ პროგრამაც: «უნდა მივეშველოთ კავკასიის ხალხს და დავეხმაროთ მას, შეიგნოს საბოლოოდ ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ მოსკოვის წყალობით დაკარგა მან ცხოვრების ყველა სიკეთე»... «უნდა აუხილოთ კავკასიის ერებს თვალები და დავანახოთ მოსკოვის ბოროტ მოქმედებანი»... (საბრალო ხალხი! რა ეშველებოდა მას, რომ ბ-ნ ქავთარაძისთანა მოამაგენი და თვალის ამ ხილავი არ გამოჩენოდა!) ამას გარდა უნდა მივაფუროთხოთ დემოკრატიას, რადგან იგია სინამდვილეში «დემოკრატიის» და მოვანახოთ ბელადი. «თუ ჩვენ ვერ შევძლებთ დავეუმორჩილოთ ჩვენი ინდუვიდუალიზმი ბელადს და არ გავყვებით მას. როგორც ავტორიტეტი, ჩვენი ეროვნულ მისწრაფებებიდან არ გამოვვა არაფერი», გვიხსნის ბ-ნი ქავთარაძე დიდი ავტორიტეტის მქონე მასწავლებლის კილოთი.

### წერილი ამერიკიდან

ვაშინგტონი, — ამერიკის შეერთებულ შტატების სატახტო ქალაქი, გასულ თვეს ცივილიზაციურ ქვეყნების ყურადღებას იპყრობდა. 20 იანვარს პრეზიდენტმა რუზველტმა თავის მამა პაპურ დანურ ენაზე დაწერილ ბიბლიაზე ფიცი მიიღო მომავალ ოთხი წლის სამსახურისათვის. ეს ცერემონია, ეგრედ წოდებული ინაგურაცია უბრალო არ იყო, არამედ დიდი პომპით შესრულდა, რაც ტრადიციულია შეერთებულ შტატების პრეზიდენტებისათვის. მხოლოდ კალვინ კულიჯმა, პრეზიდენტ ჰარდინგის სიკვდილის შემდეგ, უბრალოდ, თავის სოფლის სახლში ინაფის სანათის წინ და თავის მამის კარნახის ქვეშ აასრულა ეს დიდი აქტი.

მიუხედავად წვიმებისა მთელი კვირის განმავლობაში, ლამაზ ქალაქ ვაშინგტონს რამდენიმე დღით ადრე დიდ ძალი ხალხი მიაწყდა. პლათფორმა იყო ამართული კაპიტოლის (კონგრესის შენობის) წინ, რომელიც მორთული იყო აყვავებულ მაგნოლით, ვარდით და სხვა მცენარეებით.

განსაკუთრებულ საპატიო ბარათებით იყვნენ მომწყვდელნი: ყველა შტატების გუბერნატორები, კონგრესის წევრები, მთავრობის დაწესებულებების გამგენი და სხვ. (თვით პრეზიდენტსაც მიუვიდა ეს ფორმალური ქაღალდი, რომელზე თავის ხელით წაუწერია და უპასუხნია: «ბევრი საქმე ხელს მოშლის, მაგრამ ვეცდები დავცაწოვო»). დანარჩენთ შეეძლოთ ბილეთების შეძენა ათ დოლარად ხარჯების დასაფარავად (ეს ცერემონია ქალაქ ვაშინგტონის მცხოვრებთა ხარჯზე იმართება). ცოტა მოშორებით უფასო ადგილებიც იყო. ორმოცდაათათასამდე სტუმრებს გარდა ამ დევობას დაესწრო რუზველტის ოთხი მოდგმა: პრეზიდენტის დედა, პრეზიდენტი თავის მეუღლით, პრეზიდენტის შვილები და შვილისშვილები...

თითქმის ყველა სატახტო ქალაქს დედა-მიწაზე, გარდა ვაშინგტონისა, რაღაც საერთო რამე აქვს — ეს არის: სიდიდე, როგორც სივრცით ისე მცხოვრებთა რაოდენობით; ის სავაჭრო ცენტრია იმ ქვეყნისა; მცხოვრებთა მიზიდველია და სხვა. ვაშინგტონი კი განმონაკლისია, განსაკუთრებულია. აქ სულ ნახევარ მილიონზე ნაკლები მცხოვრებია, მათი დიდი ნაწილი მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურობს, ამიტომ ამ ქალაქის მცხოვრებთ პრეზიდენტის და კონგრესის წევრების არჩევნების დროს ხმის უფლება არა აქვთ. მდინარე პოტომაკზე მდებარე ვაშინგტონი ახალი ქალაქია. მისი გეგმა შედგენილი და დახატული იყო პირველ პრეზიდენტის ვაშინგტონის განკარგულებით 1791 წ. ფრანგ ინჟინერ Pierre L'Enfant-ის მიერ, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ინგლისის წინააღმდეგ რევოლუციონურ ომში. მის გეგმას დღესაც მისდევენ. ქალაქს მართველობს მუნიციპალური კომისია, რომელიც კონგრესის მიერ ინიშნება.

აქტიუტეტურის მხრით ულამაზეს შენობად უნდა ჩაითვალოს თვით კაპიტოლი. შიგნით მის სილა-

\*) ბ-ნ ქავთარაძეს არ უნდა დაინახოს, რომ უმფროს თაობას გვერდში უდგას უმცროსი თაობაც და მასთან ერთად ემსახურება ერის განთავისუფლების საქმეს.

მახეს წარმოადგენს მდიდარი მოზაიკის მხატვრობა: კედელზე, იატაკზე, ქერზე... ყურადღებას იპყრობს სიმეტრია ამ შენობისა, რომლის ცენტრი, შუაგული, იატაკზე ვარსკვლავის ფორმის ქვით აღნიშნული, დიდ როლს თამაშობს მთელი ქალაქის გამიჯვნაში. ყველა მთავრობის შენობები ამ ცენტრიდან სიმეტრიულად არიან აშენებულნი. აქედან დასავლეთისკენ სწორ ხაზზე არიან: პრეზიდენტის საცხოვრებელი ლამაზი თეთრი სასახლე, ვაშინგტონის და ლინკოლნის ძეგლები, უცნობ მოკლე ჯარისკაცთა პანთეონი. ჩრდილოეთით და სამხრეთით ამ ხაზის სიმეტრიულად მდებარეობენ: ნაციონალური მუზეუმი, სმიტსონის სახელობის ინსტიტუტი, მთავრობის დაწესებულებანი: აგრიკულტურის, კომერციის, მეცნიერების და სხვა. კაპიტოლთან ერთად ულამაზეს შენობად უნდა ჩაითვალოს ფერად ქვები-სახან აგებული კონგრესის წიგნთსაცავი და თეთრი მარმარილოს უმაღლესი სამსაჯულოს შენობა. გაწაფულზე საუცხოვო სანახავს წარმოადგენს და აუარებელ ხალხს იზიდავს ქუჩაში ათასამდე დარგული, მხოლოდ ყვავილების მომსახამი, ბალის ჯიშის ხეები, იაპონიის ნაჩუქარი «ნიშნად მეგობრობისა და კარგი განწყობილებისა». ჩვენმა შავკანიანმა შოფერმა დაუმატა: «რომელიც სუფევს მხოლოდ, სანამ ხეები ყვავიანო».

კონტრასტად ნიუორკისა, სადაც «ცის მიმწდომი» შენობები ერთმანეთზე გადაბმულია, მაგალითად ორ ქცევანზე მდგარი «შტატის იმპერიული შენობა» ასორ სართულიანია, — ვაშინგტონში შენობები ერთმანეთს მოშორებულია და დაბალია, გარდა კაპიტოლისა და ვაშინგტონის ძეგლისა.

რკინის გზის დიდსა და ლამაზ სადგურსა და კაპიტოლს შუა გამართულია ფანტანი რომელცადარვა ღარიდან მოჩუხჩუხე წყლით, რომელიც ღამეობით ფერად სინათლითაა განათებული — სიმბოლო რომელიცადარვა შტატისა; ცამეტი ამ ღარებისა განსაკუთრებული სიდიდისაა, რაიც აღნიშნავს პირველად შეერთებულ ცამეტს შტატს.

აქედან ახლო, კაპიტოლის წინ, იყო აღმართული პრეზიდენტის საინაგურაციო პლატფორმა. წვიმაში თავშიშველად მდგომმა პრეზიდენტმა (როცა პრეზიდენტს წვიმისაგან თავდასაფარი მისთავაზეს, მან განაცხადა: «თუ ამდენის ატანა შეუძლია ხალხს — მეც ავიტანო») სიტყვა წარმოსთქვა. რომელიც სამასი რადიო სადგურის შემწეობით მთელს ქვეყანას გადაეცა.

თვით სიტყვის შინაარსი, მიმართულების მიხედვით სხვადასხვანაირად იქმნა დაფასებული: «მშვენიერი», «სუსტი», «შინაარსიანი», «უშინაარსო», «მხოლოდ ლამაზი» და სხვა.

სიტყვაში ჩვენთვის ერთი რამაა გასაკვირი — ეს რომ არაფერია ნათქვამი საგარეო პოლიტიკაზე, თითქოს სხვა ქვეყნები არც კი არსებობდნენ ამერიკისთვის. საერთოდ ეს აიხსნება გეოგრაფიულ მდგომარეობის კარანახით და აქედან შექმნილ ამერიკულ ფსიქოლოგიით: «შენ საქმეს მოუარე — სხვისაში ნუ ერევი»-ო.

საშინაო «პროგრამაში» სიტყვა «ზოგადი» იყო, არაფერი კონკრეტული მომავალი ოთხი წლისთვის. მან დიდი ადგილი დაუთმო ყოფილ უმწველ ეკონომიურ მდგომარეობის აღწერას, დეპრესიასთან ბრძოლას. «ავტორიტარისა» და «დემოკრატისა» შორის ყოფილ გამწვავებას და უკანასკნელის გამარჯვებით გათავებას, და სხვა.

მან განაცხადა, რომ მთავრობა გააგრძელებს მის მიერ აღებულ გეზს და შეებრძოლება სიღარიბესო. «ერთი მესამედი ნაციისა ცუდად დაბინავებულია, ცუდად ჩაცმულია, ცუდად ქამს» ო; მრავალი მილიონი ოჯახის მომავალი დაუზღვეველია. განათლების საშვლებას და გასართობებს მოკლებულია და მთავრობამ უნდა მიიღოს ყოველი ღონე, რომ მისცეს მათ საქირო სტანდარტი ცხოვრებისაო...

ეს ახალია. არცერთ პრეზიდენტს არ გაუბედავს ასეთი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. ეს ალბად აიხსნება პრეზიდენტის გულკეთილობით და მამაცობით. მიაღწევს მიზანს? — არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ დადებითია — მასის დიდს უმრავლესობას მისცა უკეთესი მომავლის იმედი...

სხვათა შორის ორი უბედურება განსაკუთრებით აწუხებს დღეს შეერთებულ შტატებს. ერთი არის ბუნებისაგან მოვლენილი: — წარღვრა შუა შტატებში; მდინარე ოჰაიოს და მისისიპიდან დიდი წვიმების გამო გადმოსულმა წყალმა წალეკა სოფლები და ქალაქები; დამღვრჩალოთა რიცხვი ასობითაა, უსახლკარო მილიონზე მეტია, გაქირვება აუწერელია და ზარალი კი უანგარიშო.

მეორე მოვლენა არის ხელოვნური — რამდენიმე ასი ათასი მუშა გაფიცულია «ჯენერალ მოტორის» ავტომობილების სხვადასხვა ქალაქების ქარხნებში. ამ გაფიცებმა, რომელიც თვეზე მეტია გრძელდება, ხალხის და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია — მხოლოდ თავის მეთოდის გამო. ეს არის ეგრე წოდებული «შიდ დაჯდომით გაფიცვა», ათასამდე მუშა თავის ქარხნებში დღე და ღამე გამოუსვლელად ჩაბინავდა.

მათი ოჯახები გარედან ეხმარებიან. ქარხნის ახლო საქმელს უმზადებენ და უგზავნიან. შიგკი სრული ცხოვრებაა მუსიკით, ცეკვით და სხვა...

გაფიცვაში შრომის მინისტრი ჩაერია, როგორც მომრიგებელი, მაგრამ ჯერ უნაყოფოდ. ქარხნების პატრონებმა ყოველნაირ მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს, სანამ უკანონოდ ხელში ჩავდებულ ჩვენს საკუთრებას მუშები არ გაანთავისუფლებენ და ქარხნებს არ დასტოვებენო... პოლიცია არ ჩარეულა, საქმე სასამართლოშია.

ნაუტი.



### წერილი ხარბინიდან

1936 წ. 22 ნოემბერს და 17 დეკემბერს, ხარბინში შესდგა ქართველთა საზოგადოების წლიური კრება, რომელსაც დაესწრო 126 წევრი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნენ პ. გ. თევზაძე და ი. ა. პატიევილი, მდივნად გ. ლ. მასხულია.

კრება ღებულობს უცვლელად დღიურ წეს-რიგს, ისმენს გამგეობის მოხსენებას, რომელსაც აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ვ. მ. ცერცვაძე; როგორც სჩანს მოხსენებიდან, გამგეობამ საანგარიშო წლის განმავლობაში დიდი შრომა გასწია: ააშენა ერთ საერთოლიანი ქვის სახლი წყლის სათბობის მოწყობილობით და სახლი ძალიან კარგი გამოდგა, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ სავაჭრო სადგომები საზოგადოების სახლში ყველა გაქირავდა. სახლის აშენება დიდ დროს და თავგამოდებულ შრომას მოითხოვდა, მაგრამ საზოგადოების საქმის ძარღვის ცემა ოდნავაც არ შეჩერებულა, რაც უნდა მიეწეროს განსაკუთრებით გამგეობის უნარს.

სახლი დაჯდა 29.000 მანეთი და ასეთი თანხა თავის საზოგადოებას არ ჰქონდა და ამიტომ ის ცოტა დავალიანდა, მაგრამ სასიფათო არაფერია, რადგანაც შემოსავლიანი სახლის აგებით საზოგადოებას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა, წლიური შემოსავალ-გასავალი განმტკიცდა და ორი-სამი წლის განმავლობაში ვალებს ადვილად მოიშორებს, რომლის შემდეგ მიეცემა მას საშუალება, უფრო ნაყოფიერად აწარმოვოს თავისი საერო საზოგადოებრივი მოღვაწეობა სასურველი მიზნის მისაღწევად.

ბ-მა ცერცვაძემ დაამთავრა გამგეობის მოხსენება მომავალი 1937 წლის ხარჯთ-ალრიცხვით, რომელიც უდრის: შემოსავალი 14.960 და გასავალი—14.550 მანეთს. გამგეობის მოხსენებას მოჰყვა მსჯელობა. დამსწრეთ უმეტესი ნაწილი გამოსთქვამს სრულ კმაყოფილებას გამგეობის მოღვაწეობით, რომლის შემდეგ კრება ამტკიცებს მომავალი წლის ხარჯთ-ალრიცხვას და უცხადებს გამგეობას მხურვალე მადლობას.

შემდეგ ამისა მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. ბარამიძე, რომელსაც კრება ღებულობს კმაყოფილებით და გადადის გამგეობის წევრთა არჩევაზე.

გამგეობის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ვ. მ. ცერცვაძე, კ. მ. მახვილაძე, ლ. ა. ხავთასი, გ. ე. ნიკოლაძე, ა. ფ. მიქაბაძე, გ. ე. ხუნდაძე და ი. ვ. იონათამაშვილი. მათი მოადგილენი: დ. კ. გეგენავა, პ. გ. ლლონტი და ვ. კ. მატკავა.

სარევიზიო კომისიაში გ. მ. ბარამიძე, ი. კ. ცხომელიძე და შ. ნ. ქაჯაია.

ოც დეკემბერს მომხდარ ახალ გამგეობის სხდომაზე არჩეულ იქნა გამგეობის პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ ვასილ მაქსიმესძე ცერცვაძე, თავმჯდომარის ამხანაგად კონსტანტინე მიხეილისძე მახვილაძე, მდივნად გალაქტიონ ერმილესძე ნიკოლაძე, მოლარედ ლევანტი ალექსანდრესძე ხავთასი და მეურნედ ირაკლი ვლადიმერისძე იონათამაშვილი.

გ. ხუნდაძე.

### რუსთაველიანა

პროფ. მიხ. წერეთელმა გადათარგმნა გერმანულად «ვეფხისტყაოსანი», რომლის გამოცემას ჰფიქრობს რუსთაველის დღესასწაულის კომისია.

მ. წერეთელმა ამასთანავე რედაქცია გაუკეთა ქართულ ტექსტს და ბევრი გარყვნილი სიტყვები და ანგლიები ახლად განმარტა და აღადგინა. შესაძლებელია ეს ქართული ტექსტიც დაიბეჭდოს გერმანულ გამოცემასთან პარალელულად.

— სახელგამს გადაეცა დასაბეჭდად «ვეფხისტყაოსნის» დადგენილი ტექსტი, აკადემიური გამოცემისათვის, რომელიც დასურათებული იქნება ირ. თოიძის მიერ.

— მოსკოვში გამოვა ძვირფასი გამოცემა «ვეფხისტყაოსნისა» ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

### ქართველები საზრანხეთში

ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოებამ გადაწყვიტა მოაწყოს მოხსენებები ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. პირველ მოხსენებას მოკლე დროში წაიკითხავს ივ. ხუბრაბიშვილი.

### ქართველები ამერიკაში

ამერიკის ქართველთა საზოგადოების 1936 წლის ფინანსიური ანგარიში.

შემოსავალი: შესასვლელი 4 დოლ., საწევრო გადასახადი 45, სხვადასხვა შემოს. 516.60. სულ 559.60. გასავალი: სხვადასხვა ხარჯები 153.15, წინა წლის ვალის გასტუმრება 85. სულ 238.15.

დარჩა კასაში 321.45. სხვადასხვა პირებს მართებს საზოგადოების 537 დოლარი. საურვეზიოდ კვამისია.

### წერილი კვლავცხიის მიმართ

ბატონო რედაქტორ!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მორიგ ნომერში ადგილი დაუთმოთ ქართველ ბავშვებისათვის გამართულ შობის ხის ანგარიშს.

შემოსავალი 3.145 ფრ. 85 ს.

გასავალი 2.030 ფრ. 75 ს.

დარჩა . . . 1.115 ფრ. 10 ს.

დიდ მადლობას ვუძღვნით ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაგან მივიღეთ შემდეგი შემოწირულებანი:

- ქ-ნ ელენე აფხაზისაგან 800 ფრ. 75 სანტ.
- ქ-ნ ელიკა წერეთლის ას. დემოლონისაგან 100 ფრ.
- ქ-ნ მარიამ ვაჩნაძის ას. კოსტისაგან 100 ფრანკი.
- ქ-ნ ანეტა ოქრომჭედლიშვილის ას. ბაბესაგან 25 ფ.
- ბ-ნ ვასო დუმბაძისაგან 10 დოლარი (211 ფრ. 50 ს.).
- ბატონ გაწერელიასაგან 100 ფრანკი.
- სამაწვნე ბალიასაგან 50 ფრანკი.
- ბატონ ნოე ცინცაძისაგან 30 ფრანკი.
- ბატონ ალ. ასათიანისაგან 20 ფრანკი.

ქართული კვრა.